პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ.პ.(ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 15 კაპ.
პარასკევი,
1
მარტი
1935 წ.
№ 52 (4108)

დღის ნომერში

— დავამყაროთ სკოლაში ბოლშევიკური წესრიგი. („პრავდის" მოწინავე. 1-ლი გვ.).
— დროულად მოვამზადოთ ჩაის ფაბრიკები. (მოწინავე. 1-ლი გვ.).
— ს.ს.რ. კავშირის ცაკის პრეზიდიუმში. (1-ლი გვ.).
— ს.ს.რ. კავშირის სახკომსაბჭოში და საკ. კ.პ. (ბ) ც.კ-ში (მე-2 გვ.).
— საბაზაფხულო თესვა (მე-3 გვ.).
— სტატიები. კლასობრივად მტრული იდეების შესახებ ლიტერატურაში (მე-2 გვ.), „ვეფხვის ტყაოსნის" ახალი ხელთნაწერი. (მე-3 გვ.).
— უცხოეთის ინფორმაციები. „ნიუ-იორკ ტაიმსი" ამერიკა - საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ; საიმონის მოსკოვში შესაძლო გამგზავრების საკითხის გარშემო; საფრანგეთ - საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.

დროულად მოვამზადოთ ჩაის ფაბრიკები

ჩაის ფოთლის გადამუშავების სეზონის დაწყებამდე თვენახევარიღა დარჩა. ამიტომ უკვე დროა ვიკითხოთ გაშალეს თუ არა ჩვენმა ფაბრიკებმა მუშაობა იმისათვის, რომ მომზადებული შეხვდენ ფოთლის ახალ მოსავალს.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფოთლის დამზადებისა და გადამუშავების გეგმა წელს ორმაგად არის გადიდებული. გასულ წელს ჩაის ყველა ფაბრიკამ დაახლოებით ექვსნახევარი მილიონი კილო ფოთოლი გადაამუშავა და 1.583.000 კილო მზა პროდუქცია მისცა სახელმწიფოს. ხოლო ამ პროდუქციის ხარისხს ჩვენი პარტიის ცენტრალურმა ორგანომ „პრავდამ" შემდეგი შეფასება მისცა: „ამ წელმა საბჭოთა ჩაის ხარისხის ამაღლებაში ახალი გამარჯვებანი მოგვიტანა. ჩაის შემმოწმებელმა სპეციალურმა კომისიამ გამოარკვია, რომ ჩვენი საუკეთესო ხარისხის ჩაი (ცეილონის, ჩინეთის, ინდოეთის მაღალი ხარისხის ჩაის შეედრება".

მიმდინარე წელს ფაბრიკებმა 12.116.000 კილო ფოთოლი უნდა გადაამუშაონ და ამასთანავე გასული წლის ხარისხობრივი მაჩვენებლები კიდევ უფრო მაღლა უნდა ასწიონ. ასე მაგალითად, თუ გასულ წელს უმაღლესი ხარისხის ჩაის გამომუშავების გეგმა საშუალოდ ერთ პროცენტს უდრიდა, წელს ის ერთნახევარ პროცენტამდეა გადიდებული, პირველი ხარისხი 6-დან 8 ნახევრამდე, მეორე—63—78 პროცენტამდეა აყვანილი, ხოლო მესამე ხარისხის გამოშვების გეგმა 23-დან 12 პროცენტამდეა შემცირებული.

ცალკეულ ფაბრიკების მიხედვით ეს ხარისხობრივი მაჩვენებლები გაცილებით უფრო მაღალია. ჩაქვის ფაბრიკამ, მაგალითად, უნდა მოგვცეს უმაღლესი ხარისხი 4 პროცენტი, პირველი კი 15; სალიბაურისა და მახარაძის ფაბრიკებმა შეფარდებით 3 და 10 პროცენტი. ამასთანავე ერთად ჩაქვისა და ზუგდიდის ფაბრიკებს გეგმა ერთი ორად უდიდდება და თვითეული მათგანის დატვირთვა 1.200.000 კილოს აღემატება. ასევე ითქმის მახარაძის ჩაის ფაბრიკაზეც.

იმისათვის, რომ ამ გეგმის შესრულება უზრუნველყოფილი იქნეს როგორც რიცხობრივი, ისე ხარისხობრივი მაჩვენებლების მიხედვით, ჩაის ფაბრიკები ყოველმხრივ შეიარაღებული და სავსებით მომზადებული უნდა იქნან.

რა არის ამისათვის საჭირო?

ნედლეულის ხარისხი ერ-ერთი გადამწყვეტი მომენტთაგანია. ფაბრიკებს გეგმით უნდა ჩაბარდეს პირველი ხარისხის ფოთოლი 90, ხოლო მეორე ხარისხის—10 პროცენტი. გასული წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ რაიონები არ იბრძვიან საკმაოდ ამ შეფარდების დაცვისათვის. ნედლეულის ხარისხობრივი შეფარდების უზრუნველყოფა დამოკიდებულია, პირველ ყოვლისა, განუწყვეტელი კრეფის გატარებაზე.

ეს არ უნდა იქნეს დავიწყებული. მაგრამ ხარისხობრივად მოკრეფილი ფოთლის გაფუჭება ადვილია, თუ იგი მოკრეფის შემდეგ 4—6 საათის განმავლობაში არ იქნა მიტანილი ჩაის ფაბრიკაში. ფოთოლი ლპება, ხურდება, კარგავს საჭირო თვისებებს. ფოთლის დროულად გადასროლა პლანტაციებიდან მიმღებ პუნქტებამდე და შემდეგ ფაბრიკამდე დამოკიდებულია გზებისა და ტრანსპორტის მდგომარეობაზე. გზები კი მთელრიგ რაიონებში ისეთ მდგომარეობაშია, რომ ფოთლის დროულად გადასროლა საფრთხის წინაშე დგას. განსაკუთრებით შეეხება ეს ლანჩხუთის (აცანა, მამათი), მახარაძის (შრომა), გალის, ჩოხატაურის და ტყიბულის რაიონებს. აცანის ფაბრიკა, მაგალითად, პირდაპირი გზის დაზიანების გამო აცანასა და ლანჩხუთს შუა. აქეთიდან უვლის და ეს გზაც სავალალო მდგომარეობაშია. რაიაღმასკომებმა და „საქართველოს ჩაიმ" დაუყოვნებლივ უნდა მიიღონ გადამჭრელი ზომები გზების ასეთ მდგომარეობიდან გამოსაყვანად, რომ უზრუნველყოფილი იქნეს ავტომანქანის მისვლა ჩაის ფაბრიკიდან ფოთლის მიმღებ პუნქტებამდე. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხიდებისა და ბოგირების შეკეთებას.

ვერ მიმდინარეობს აგრეთვე დამაკმაყოფილებლად ფაბრიკების უზრუნველყოფა ავტოტრანსპორტით. ავტომანქანების რემონტის გეგმა ჯერ ნახევრად არის შესრულებული. ფაბრიკებისათვის გამოყოფილ 44 ახალი ავტომანქანიდან ჯერ არც ერთი არ არის მიღებული.

მიმდინარე წელს, გეგმის ზრდასთან დაკავშირებით ჩაის ფოთლის მიმღებ პუნქტების რიცხვი 105-დან 154-მდეა გადიდებული. ამრიგად ჩაის ფაბრიკები უფრო და უფრო უახლოვდებიან ნედლეულის ბაზას, მაგრამ საჭიროა ამ პუნქტების შესაფერისად მოწყობა და ინვენტარით უზრუნველყოფა. ამ მხრივაც სუსტად არის გაშლილი მუშაობა. პუნქტებს ჯერ არ აქვთ მიღებული სასწორები. მიმდინარე წელს არ უნდა განმეორდეს ისეთი შეუწყნარებელი მოვლენა, როდესაც ჩაის მიმღებ პუნქტს ზოგან მაგიდა და ლამპაც კი არ ქონდათ (გალის რაიონი).

თვით ფაბრიკებში ძირითადია ჩაის გადამამუშავებელ მანქანებისა და ძრავების რემონტის დროულად და ხარისხობრივად ჩატარება. პირველ ადგილზე ამ მხრივ მახარაძის სამონტაჟო რაიონია (სამონტაჟო კანტორის უფროსი ბანოვი). ჩამორჩება სამტრედიის სამონტაჟო რაიონი (სამონტაჟო კანტორის უფროსი ლომიძე). სარემონტო კამპანია ამრიგად უნდა იქნეს გაშლილი, რომ ათ აპრილს მოხდეს ფაბრიკების საცდელი გაშვება.

ბოლოს „საქართველოს ჩაიმ" ამთავითვე უნდა იზრუნოს კადრების მომზადებასა და შერჩევაზე. მითუმეტეს საყურადღებოა, რომ მთელი რიგ ჩაის ფაბრიკებზე მიმდინარე წელს პირველად ტარდება ფართო ხასიათის საწარმოო ცდა ფოთლის ხელოვნურ ჭკნობაზე. განსაკუთრებული ყურადღება ესაჭიროება ფოთლის მიმღებთა შერჩევასაც. მარტის პირველ რიცხვებში ზუგდიდში და ბათუმში იხსნება კადრების მოსამზადებელი კურსები. რაიონულმა ორგანიზაციებმა და ფაბრიკებმა წელს საგანგებოდ უნდა შეარჩიონ და ფოთლის მიმღებად გამოჰყონ შემოწმებული და გამოცდილი ამხანაგები.

ცალკე უნდა შევჩერდეთ ახალ ფაბრიკების მშენებლობის მიმდინარეობაზე თუ გამტარობის მიხედვით ვიანგარიშებთ, მიმდინარე წელს ექსპლოატაციაში შემავალი ახალი ობიექტები დღემდე არსებულ ყველა ფაბრიკის გამტარობას უდრის. ამ ფაბრიკების მშენებლობა ენერგიულად გაშალეს ნასაკირალში (მშენებლობის უფროსი რუხია, ინჟინერი ქავთარაძე), ინგირში (მშენებლობის უფროსი გვილავა, ინჟინერი ლიუბოვი) და ოჩხამურში (მშენებლობის უფროსი შომახია, ინჟინერი სულუხია). სამარცხვინოდ ჩამორჩება ამ მხრივ მამათის ჩაის ფაბრიკის მშენებლობა (მშენებლობის უფროსი აბესაძე, ინჟინერი თოხაძე). ამ ფაბრიკას ჯერ მხოლოდ საძირკველი აქვს ჩაყრილი. „საქართველოს ჩაიმ" ლანჩხუთისა და მახარაძის რაიონულმა ორგანიზაციებმა გადამჭრელი ზომები უნდა მიიღონ იმისათვის, რომ ეს ფაბრიკა დროულად იქნეს გაშვებული. მთავარია ამჟამად გამწევი ძალისა და მუშა-ხელის მიშველება. საშენი მასალით ფაბრიკა სავსებით უზრუნველყოფილია.

დარჩენილი დათვლილი დღეების თვითეული საათი გეგმიანად და მოფიქრებულად უნდა იქნეს გამოყენებული იმისათვის, რომ მიმდინარე წლის დიდი მოსავალი მაღალხარისხოვან პროდუქტად იქნეს გადამუშავებული.

ამას მოითხოვს პარტია „საქართველოს ჩაის" და ჩაის რაიონების ბოლშევიკებისაგან.

გერმანიის პრესის ანტისაბჭოთა კამპანია

ბერლინი, 26 თებერვალი. პრესა, განსაკუთრებით პროვინციალური სისტემატიურად, დღითი - დღე ცდილობს გააღვივოს სიძულვილი საბჭოთა კავშირისადმი. ცენტრალური გაზეთები აჭრელებულია შენიშვნებით საბჭოთა კავშირში გამოგონილი „ნგრევის" და „შიმშილობის" შესახებ. დღეს „ფელკიშერ ბეობახტერმა" საბჭოთა კავშირს უძღვნა „საგარეო - პოლიტიკურ შენიშვნათა" მთელი განყოფილება და მოათავსა ექვსი ანტისაბჭოთა ცნობა. ნაციონალ - სოციალისტური სატირული ჟურნალი „ბრენესელი" აგრეთვე მთლიანად შეიცავს დაცინვას საბჭოთა კავშირის საგარეო და საშინაო პოლიტიკაზე. წიგნის ბაზარზე გამოშვებულია უამრავი ანტისაბჭოთა ლიტერატურა, რომლის დიდი ნაწილი ეკუთვნის პირწავარდნილ თეთრგვარდიელთა კალამს. განახლდა მორიგი ჭორების რადიოგადაცემა საბჭოთა კავშირში არსებული „შიმშილობის" შესახებ (ადს).

* * *

გერმანიის პრესის მოწოდება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ

ბერლინი, 27 თებერვალი. „რეინიშ ვესტფალიშე ცეიტუნგი" ჩივის, რომ ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის საგარეო საქმეთა სამინისტროებში სხედან ცუდი დიპლომატები, რომლებსაც არ შეუძლიათ სწორად შეაფასონ ახლანდელი საერთაშორისო მოლაპარაკებაში „საბჭოთა შორის ჩარევის მოტივები". კელნის გაზეთი „ვესტდოიჩერ ბეობახტერი" წერს:

„უკანასკნელი კვირის გადამწყვეტი ფაქტს წარმოადგენს ის, რომ მოვლენათა განვითარებაზე საბჭოთა დიპლომატია. ახდენს გავლენას და ეს გავლენა განუწყვეტლივ — იზრდება"! გაზეთი ყოველნაირად ცდილობს დაუმტკიცოს ინგლისს, რომ საჭიროა ბრძოლა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. (ადს)

* * *

უშედეგო გაფრენა სტრატოსფეროში

მოსკოვი, 28 თებერვალი. ცნობილმა ამერიკელმა მფრინავმა უილი პოსტმა მოახდინა სტრატოსფეროში გაფრენის უშედეგო ცდა. პოსტი აფრინდა ლოს-ანჟელოსის რაიონში, მიაღწია 8.000 მეტრის სიმაღლეს, მაგრამ მოტორის ავარიის გამო იძულებული იყო დაშვებულიყო. აეროპლანი დაეშვა სტარტის ადგილიდან 200 მეტრის დაშორებით. ფიქრობდნენ, რომ პოსტი მიაღწევს 12.000 მეტრის სიმაღლეს (ადს).

ამერიკა-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა

ნიუ-იორკი. 27 თებერვალი. „ნიუ - იორკ ტაიმსი" თვალსაჩინო ადგილზე აქვეყნებს თავისი მოსკოველი კორესპონდენტის დურანტის დეპეშას, რომელშიაც აღნიშნულია, რომ საბჭოთა საზოგადოებრივი აზრი მწუხარებას გამოსთქვამს, რომ, უმნიშვნელო გაუგებრობასთან დაკავშირებით, ორ მშვიდობიან ქვეყანას შორის-ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის მოხდა დაშორება იმ დროს, როცა იაპონია და გერმანია აშკარად ამზადებენ ომს.

ეხება რა ვალების შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებას, დიურანტი აღნიშნავს, რომ, როგორც ვიცი, რუზველტისა და ლიტვინოვის მიერ ხელმოწერილ ოქმში აღნიშნული იყო, რომ შეერთებული შტატები საბჭოთა კავშირს სესხს მისცემენ. (ადს).

* * *

საიმონის მოსკოვში შესაძლო გამგზავრების საკითხის გარშემო

ლონდონი, 27 თებერვალი. „დეილი ტელეგრაფის" ცნობით, ეჭვს გარეშეა, რომ კაბინეტი დათანხმდება მინისტრის მოსკოვში გაგზავნაზე და რომ, ალბათ, საიმონი ამ კვირის დამლევს იდენთან ერთად გაემგზავრება ბერლინში. შემდეგ საიმონი, გაზეთის სიტყვით, დაბრუნდება მოხსენების გასაკეთებლად ლონდონში, ხოლო იდენი შესაძლებელია გაემგზავროს მოსკოვში, რათა „მოამზადოს ნიადაგი უფრო ოფიციალური აზრთა გაცვლა - გამოცვლისათვის, რაც მოხდება საიმონის მოსკოვში ჩასვლის შემდეგ".

„დეილი ჰერალდი" წერს:

„ძალიან კარგი იქნება, თუ საიმონი ნახავს ზოგიერთ რამეს ახალ რუსეთში და ისაუბრებს საბჭოთა მინისტრებთან კრემლში, რადგან ბევრი რამ არის ისეთი, რაც უფრო მნიშვნელოვანია მსოფლიოს დამშვიდებისათვის, ვიდრე ნამდვილი გულითადი ურთიერთობის დამყარება ბრიტანეთის იმპერიასა და საბჭოთა კავშირს შორის". (ადს).

ტოკიო, 27 თებერვალი. პრესა დიდ ყურადღებას აქცევს ცნობებს საიმონის მოსკოვში შესაძლო გამგზავრების შესახებ, ხაზგასმით აღნიშნავს რა, რომ ეს იქნებოდა ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის მოსკოვში ჩასვლის პირველი შემთხვევა და მოასწავებდა ინგლის-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის საგრძნობლად გაუმჯობესებას. ფიქრობენ, რომ, თუ საიმონი ჩავიდა მოსკოვში, იგი განიხილავს არა მარტო ევროპის, არამედ აგრეთვე შორეული აღმოსავლეთის საკითხებს. გაზეთ „იომიურის" ბერლინელი კორესპონდენტი, სხვათაშორის, აღნიშნავს, რომ გერმანიის მთავრობის ხელმძღვანელ წრეებს ძალიან აფიქრებს საიმონის შესაძლო გამგზავრება მოსკოვში. (ადს)

* * *

უნგრეთის მისია ირანში

თეირანი, „ეტილაატის" მიერ მოთავსებულ ინტერვიუში უნგრეთის რეგენტის შვილმა ეტიე დე ხორტიმ, რომელიც ამას-წინათ ჩამოვიდა თეირანში, განაცხადა, რომ იგი ჩამოვიდა ირანში როგორც უნგრეთის მეტალურგიული ფაბრიკების და ქარხნების წარმომადგენელი, რათა ხელი შეუწყოს ირან-უნგრეთის სავაჭრო კავშირის და მეგობრობის განვითარებას. აღნიშნავს რა, რომ „ირანს (სპარსეთი) ამჟამად ესაჭიროება ტექნიკური მოწყობილობა, კერძოდ, რკინისგზების, ქარხნების და ფაბრიკების ასაგებად საჭირო მოწყობილობა, ეტიე დე ხორტითავის ინტერვიუში აცხადებს, რომ მას განზრახვა აქვს დაიწყოს მოლაპარაკება ირანის მთავრობის ხელმძღვანელებთან იმ მიზნით, რომ ამ ორ ქვეყანას შორის გაჩაღდეს ვაჭრობა, რომელიც ამჟამად სუსტადაა განვითარებული. ინტერვიუდან შეიძლება ისეთი დასკვნის გამოყვანა, რომ უნგრეთს შეუძლია აწარმოოს ბამბის შესყიდვა ირანში და ამავე დროს მიაწოდოს ირანს სამანქანო მოწყობილობა და მომსახურება გაუწიოს მის საამშენებლო საჭიროებებს (ადს).

* * *

ჩინეთის წითელმა არმიამ დაიკავა ნინციანი

ლონდონი, 26 თებერვალი. „ტაიმსის" ბეიპინელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ჩინეთის წითელმა არმიამ 6 თებერვალს დაიკავა ნინციანი, შენსის პროვინციის სამხრეთ - დასავლეთით, და ემუქრება ქალაქ ფინსიანს, ნინციანიდან ჩრდილოეთ - აღმოსავლეთით (ადს).



თებერვლის ბრძოლების წლისთავზე ვენა სავსე იყო ჯარებით.

სურათზე: ტყვიამფრქვევი, დადგმული ავსტრიის დედაქალაქის ერთერთ ქუჩაზე.

„მუშათა პასპორტები"

ბერლინი, 27 თებერვალი. დამტკიცებულ იქნა მთელი რიგი კანონები, რომლებთაგან ყველაზე მეტი ყურადღების ღირსია ის კანონი, რომლის ძალითაც 1 აპრილიდან ყველა მუშისა და მოსამსახურისათვის შემოღებულია „მუშის პასპორტი". ადგილის ყოველგვარი გამოცვლა შესაძლებელი იქნება მხოლოდ შრომის ბირჟის ნებართვით. ამავე დროს სამუშაოს შოვნის ყოველგვარი საშუალება ესპობა იმათ, ვისაც არ ექნება „მუშის პასპორტი".

კანონი სოფლის მეურნეობის მუშა ხელით უზრუნველყოფის შესახებ უფლებას ანიჭებს შრომის ბირჟას გასცეს განკარგულება იმ მუშებისა და მოსამსახურეების დათხოვნის შესახებ, რომლებმაც განსაზღვრულ დრომდე იმუშავეს სოფლის მეურნეობაში (ადს).

ინგლისი და აღმოსავლეთის პაქტი

პარიზი, 26 თებერვალი. ავტორიტეტული წყაროებიდან იტყობინებიან, რომ საიმონი ბერლინში გამგზავრებამდე 28 თებერვალს ჩამოვა პარიზში. ლონდონი და პარიზი ერთსულოვნად აღიარებენ საჭიროდ. რომ ინგლის - საფრანგეთის დეკლარაციის წინადადებანი განხილულ იქნას როგორც ერთი მთლიანი. პარიზი იცავს აღმოსავლეთის პაქტის იდეას მაგრამ ფიქრობს, რომ საფრანგეთი უფრო მეტ ყურადღებას დაუთმობს პაქტის რეალიზაციას, ვიდრე ინგლისი, რომელსაც არა აქვს განზრახვა მიიღოს მონაწილეობა ამ პაქტში (ადს).

* * *

ნაციონალ-სოციალისტური ორგანიზაციების „თვითდაშლა" ავსტრიაში.

ვენა, 26 თებერვალი. როგორც ავსტრიის სააგენტო იუწყება, ზემო ავსტრიის არალეგალური ნაციონალურ - სოციალისტური ორგანიზაციების ხელმძღვანელებმა შეიტანეს განცხადება ორგანიზაციის „თვითდაშლის" შესახებ, ჩააბარეს იარაღი და რადიო - აპარატები, იკისრეს შეწყვიტონ არალეგალური მუშაობა და განაცხადეს, რომ სურთ შევიდნენ „მშობლიურ ფრონტში" გაზეთებს ეჭვი ეპარებათ „თვითდაშლის" რეალობაში.

იმ დროს, როცა გამოქვეყნდა განცხადება „თვითდაშლის" შესახებ, „რეიხსპორტი" იუწყება. რომ კარინტიაში აღმოჩენილ იქნა ნაციონალ-სოციალისტების იარაღის საწყობი (ადს).

* * *

1 მარტს საარის ოლქი უერთდება გერმანიას

ბერლინი, 27 თებერვალი. ოფიციალურად იუწყებიან, რომ 28 თებერვალს, შუაღამეზე, საარის ოლქი შეუერთდება გერმანიას. ამ დღეს საარის ოლქზე გავრცელდება გერმანიის ყველა უმნიშვნელოვანესი კანონები (ადს).

* * *

რევოლუციონერ ჯარისკაცთა პროცესი კრაკოვში

ვარშავა, 27 თებერვალი. („პრავდის" საკ. ინფ.) „ილუსტროვანი კურიერ ცოძენი" იუწყება, რომ 25 თებერვალს კრაკოვის საოლქო სასამართლოში დაიწყო 13 მუშა და გლეხი ჯარისკაცის დიდი პროცესი. საბრალმდებლო აქტში აღნიშნული იყო, რომ ბრალდებულნი მძიმე არტილერიის მე-5 ლეგიონის კანონერები—შახალი, დნიდიუკი და სხვები — ეწეოდნენ სისტემატიურ კომუნისტურ აგიტაციას კრაკოვში დაბანაკებულ ჯარის ნაწილებში, ავრცელებდნენ იქ რევოლუციურ ლიტერატურას და მოუწოდებდნენ ჯარისკაცებს შეიარაღებულ აჯანყებისაკენ.

შემდეგ საბრალმდებლო აქტი ამტკიცებს, რომ ბრალდებულებმა „კომუნისტური პარტიის სამხედრო განყოფილების" ხელმძღვანელობით კრაკოვის გარნიზონის სხვადასხვა სამხედრო ნაწილში მოაწყვეს კომუნისტური უჯრედები. (ადს).

* * *

ჯონსონის გამარჯვება

ლონდონი, 27 თებერვალი. აბერტილერის (მონმოუტშირის საგრაფოს ქვანახშირის რაიონის ერთერთი უდიდესი ცენტრი) საოლქო მუნიციპალურ საბჭოს დამატებითი არჩევნების დროს კომუნისტების კანდიდატმა ჯონსმა დაამარცხა ლეიბორისტი (ადს).

სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმში

მოსკოვი, 20 თებერვალი. 27 თებერვალს ამხ. კალინინის თავმჯდომარეობით შესდგა სსრ კავშირის ცაკის პრეზიდიუმის სხდომა. სხდომას დაესწრნენ **ამხ. სტალინი, მოლოტოვი, კაგანოვიჩი, ვოროშილოვი, რახიმბაევი, ჩუბარი, მეჟლაუკი, ენუქიძე, უნშლიხტი, შვერნიკი, შაპოშნიკოვი, აკულოვი, ჩუცკაევი, ვეინბერგი, კისელიოვი, ხაცკევიჩი** და **სმიდოვიჩი.**

ამასწინად საბჭოთა კავშირის მთავრობამ საბჭოთა კინომატოგრაფიის 15 წლისთავის აღსანიშნავად კინოს მთელი რიგი მუშაკები დააჯილდოვა საბჭოთა კავშირის ორდენებით. საბჭოთა კავშირის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. კალინინმა გადასცა ორდენები იმ პირებს, რომლებიც გახდნენ საბჭოთა კავშირის მთავრობის უმაღლესი ჯილდოს მიღების ღირსი.

ერთი მეორეზე მიდიან მიხეილ ივანესძესთან კინოს მუშაკები.

ლენინის ორდენს ღებულობენ **ამხ. შუმიაცკი, ტაგერი, პუდოვკინი, ერმლერი, „ჩაპაევის" ავტორები ვ. ნ. ვასილიევი და ს. დ. ვასილიევი, დოვჟენკო, ჭიაურელი, კოზინცევი და ტრაუბერგი.**

შრომის დროშის ორდენები გადაეცა **ამხ. ტროფიმოვს, ჩუჟინს, პლეტნევს, უვაროვს, იოხილევიჩს, გალკინს, კაცენელსონს, ჩიბისოვს, გოლდოვსკის, ციპკინს, კარტოვს და შვედჩიკოვს.**

წითელი ვარსკვლავის ორდენებს ღებულობენ **ამხ. ვერტოვი, კავალერიძე, ბეკ-ნაზაროვი, ბლიოხი და ალექსანდროვი.**

საბჭოთა კავშირის მთავრობამ ლენინის ორდენით დააჯილდოვა ლენინგრადის ფაბრიკა „ლენფილმი". ორდენს ღებულობენ ფაბრიკის დირექტორი კაცენელსონი, პარტკომის მდივანი კოზლოვი და ქარხკომის თავმჯდომარე [illegible].

წითელი დროშის ორდენი გადაეცა აგრეთვე მუშურ - გლეხური წითელი არმიის მეთაურს ამხ. ბორისოვს. შრომის წითელი დროშის ორდენი „იუჟამტორგის" თავმჯდომარეს ლევინს და „ლენინის ორდენი მეღორეობის საბჭოთა მეურნეობის" „კრასნაია მორდოვიას" პოლიტგანყოფილების უფროსს **დიმიტრიევას.**

კინოს იმ მუშაკთა სახელით, რომლებმაც მთავრობისაგან ჯილდო მიიღეს, გამოვიდა სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებულ კინოფოტომრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსი **ამხ. შუმიაცკი.**

სიტყვით გამოვიდა აგრეთვე ლენინის ორდენით დაჯილდოებული **ამხ. დიმიტრიევა.**

ამხ. დიმიტრიევას სიტყვის შემდეგ ამხ. კალინინმა მიულოცა კინოს მუშაკებს ჯილდოს მიღება. მან სთქვა:

— ჯილდოს მიღება საბჭოთა კავშირის მუშებისა და გლეხებისაგან ეს იმას ნიშნავს, რომ იყო აღნიშნული ადამიანთა ათეულ მილიონებს შორის, ეს უდიდესი ჯილდოა, რომლითაც მუშები და გლეხები თავისი მთავრობის სახით აღნიშნავენ ამათუიმ მოღვაწეთა თვალსაჩინო მუშაობას. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საბჭოთა კავშირის უკანასკნელი ფილმები, როგორც ეს გამოცდილებამ დაადასტურა, წარმოადგენენ ისეთ ხელოვნებას, რომლის მეშვეობითაც შეიძლება გაფორმებულ იქნას ადამიანის ხასიათის ყოველგვარი გამოხატულებანი. აქ, ისე როგორც არც ერთ სხვა დარგში, ჩვენ გვაქვს ხელოვნების შეთავსება მეცნიერებასა და ტექნიკასთან.

ამიტომ კინოს მუშაკების წინაშე იშლება ნამდვილი ფართო გზა. კინო მომსახურებას უწევს უფართოეს მასებს, დაწყებული, თუ ასე შეიძლება ითქვას, უმაღლესი კვალიფიკაციის ადამიანებიდან თვით დაბალ ფენებამდე. ყველას უყვარს კინო, კინოს წინაშე გადაშლილია შემოქმედების თვალუწვდენელი, ფართო პერსპექტივები. განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში იმყოფებიან ჩვენი კინომუშაკები. ჩვენ გამდიდრებული ვართ რევოლუციური მარქსიზმით, რომელიც საშუალებას გვაძლევს სწორად მივუდგეთ მოვლენებს, ადამიანებს და მათ თვისებებს, სწორად შევაფასოთ ისინი. ეს ის მეთოდია, რომელიც ნამდვილად იძლევა საშუალებას მთლიანად გამოვამჟღავნოთ მთელი ის მხატვრული ნიჭი, რომელიც მოეპოება კინოს მუშაკებს.

ყოველივე ეს უფლებას გვაძლევს ვიქონიოთ იმედი, რომ საბჭოთა კინოს მუშაკები სამართლიანად დაიკავებენ პირველ ადგილს მსოფლიოში, ვინაიდან მიუხედავად სიმდიდრისა, ტექნიკის განვითარებისა, ძველი კულტურის განვითარებისა, ყველა ამ შესაძლებლობათა მიუხედავად, კაპიტალისტურ კინოებს და მის მუშაკებს მაინც არ აქვთ ის ელემენტები, რომლებიც მოეპოება საბჭოთა კინომატოგრაფიის მუშაკებს. ჩვენ გვაქვს ყველა წანამძღვარი, რომ კინოს დარგშიც დავიკავოთ პირველი ადგილი მსოფლიოში. მე იმედი მაქვს, რომ ყველა საბჭოთა რესპუბლიკის კინომატოგრაფიის მუშაკები მიდიან ამ გზით და მიაღწევენ ამ მიზანს.

დაჯილდოება და კინოს მუშაკების მაღალი შეფასება ჩვენი პარტიის ცენტრალური კომიტეტის და საბჭოთა მთავრობის მიერ გახდება ახალი სტიმული, ახალი ბიძგი იმისაკენ, რომ ნამდვილად მოვიპოვოთ პირველობა მსოფლიოში კინოს დარგშიც (ხანგრძლივი ტაში).

(შეძახილები: „ვაშა ამხანაგ სტალინს". კინოს მუშაკები ოვაციას უმართავენ **ამხ. სტალინს**).

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

ამხ. ა. ა. ანდრეევის სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან განთავისუფლების შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დაკმაყოფილებულ იქნას ამხ. ანდრია ანდრიასძე ანდრეევის თხოვნა სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისრის მოვალეობისაგან მისი განთავისუფლების შესახებ.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე

მოსკოვი, კრემლი
28 თებერვალი 1935 წ.

სსრ. კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილება

ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩის სსრ. კავშირის გზათა სახალხო კომისრად დანიშვნის შესახებ

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს:

დანიშნულ იქნას ამხ. ლაზარე მოსესძე კაგანოვიჩი სსრ კავშირის გზათა სახალხო კომისრად.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე — მ. კალინინი.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი ა. ენუქიძე

მოსკოვი, კრემლი
28 თებერვალი 1935 წ.

ცნობა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილების შესახებ

საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა 1935 წლის 27 თებერვალს მიიღო შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) დაინიშნოს ამხ. ა. ა. ანდრეევი საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივნად.

ბ) განთავისუფლებულ იქნას საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ლ. მ. კაგანოვიჩი საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარის და საკ კ.პ. (ბ) მოსკოვის საოლქო კომიტეტის მდივნის მოვალეობათაგან.

გ) საკ კ.პ. (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული პარტიული კონტროლის კომისიის თავმჯდომარედ დაინიშნოს საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ამხ. ნ. ი. ეჟოვი (ადს).

დავამყაროთ სკოლაში ბოლშევიკური წესრიგი

„პრავდის" მოწინავე 28/II

საბჭოთა კავშირის ხალხთა კულტურულ სიმდიდრის ახალი დიდი განძი შეემატა. მთავრობამ და პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღეს გადაწყვეტილება აშენდეს 1935 წელს 374 ახალი სკოლა ქალაქებში 240.390 მოწაფისთვის. 223 მილიონ მანეთზე მეტი ღირებულებით. 1935 წლის განმავლობაში მსხვილი ქალაქების სკოლებში და 1936 წლის შემოდგომისთვის საბჭოთა კავშირის ყველა საქალაქო სკოლაში მოისპობა მესამე ცვლა. ერთიანი გამოსასვლელი დღის გარეშე მეცადინეობის წესი და „მოხეტიალე კლასები", რომელთაც არა აქვთ თავისი მუდმივი შენობა. სასკოლო შენობათა მშენებლობის შემდგომმა გაშლამ სავსებით უნდა მოსპოს ორცვლიანი მეცადინეობა.

იმისთვის, რომ შევაფასოთ საბჭოთა ხელისუფლების ეს ახალი ღონისძიება, საჭიროა გავიხსენოთ, რომ ჩვენი ქვეყნის სკოლებში სწავლობს 25 მილიონამდე ბავშვი — ეს ციფრი, რამდენჯერმე აღემატება მეფის რუსეთის სასკოლო კონტინგენტს.

პარტია და მთავრობა, რომლებმაც პირველი და მეორე ხუთწლედების მანძილზე მიაღწიეს მრეწველობის და სოფლის მეურნეობის უდიდეს წარმატებებს, სოციალისტური მეურნეობის დანაგროვს ახმარებენ ამ მეურნეობის ბატონ - პატრონის — მუშების და კოლმეურნეების საჭიროებებს, მკვეთრად ამაღლებენ მათ კეთილდღეობას, საარსებო და კულტურულ დონეს. და ყოველ ახალ დღეს მოაქვს ის, რომ სახელმწიფო აძლევს ახალ და ახალ განძს სოციალურ - კულტურულ და საგანმანათლებლო დაწესებულებებს, რომლებიც მომსახურებას უწევენ მშრომელებს.

უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლების მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად საკავშირო მთავრობამ გაიღო 45 მილიონი მანეთი უმაღლეს პედაგოგიურ სკოლების მშენებლობისა და რემონტისათვის. და ეს გადაწყვეტილება თავის მხრივ ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პარტია დიდ ყურადღებას აქცევს საბჭოთა მასწავლებლების სანიმუშო კადრების შექმნას, უნდა აღინიშნოს, რომ აქამდის საბჭოთა და პარტიული ორგანიზაციები მთელ რიგ მხარეებსა და ოლქებში, ამხანაგ სტალინის მიერ მე-17 ყრილობაზე მოცემული მითითების მიუხედავად, დანაშაულებრივად უგულებელყოფდნენ უმაღლესი პედაგოგიური სასწავლებლების საჭიროებებს, აიძულებდნენ მათ თავი შეეფარებინათ ძველ და უხეირო შენობებში, არ უქმნიდნენ მათ მუშაობის ელემენტარულ პირობებსაც კი.

პროლეტარულ საზოგადოებრიობას არ შეუძლია გულგრილად ელოდოს, სანამ განსახკომები ააგებდნენ ახალ სასკოლო შენობებს მთავრობის მიერ მათთვის მიცემული მრავალი ასეული მილიონი მანეთებით.

სკოლების ახალი მშენებლობა უნდა წარმოებდეს სასტიკი (გამოტოვებულია), რამდენადაც წინათ წარმოებულ მშენებლობაში რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის და უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის განსახკომებმა დაუშვეს მთელი რიგი უხეში შეცდომები, უმორჩილდნენ ცუდი სამეურნეო მუშაკები, ხოლო ნაწილობრივ საამშენებლო ფონდები სრულიად სხვა მიზნებისთვის დახარჯეს, განსაკუთრებით საზიანო აღმოჩნდა სკოლების აშენების დროს გატაცება ყოველგვარი დამხმარე შენობებით, სააქტო დარბაზებით, სასადილოებით, კლუბებით სასკოლო შენობის ძირითადი ელემენტის — საკლასო ოთახების ხარჯზე. სასადილოში, დარბაზში მოწაფე ატარებს ნახევარ საათს. ხოლო კლასში — მთელ სასწავლო დღეს. მართლაც რომ მოხერხებაა საჭირო, რომ კაცმა სასკოლო შენობა ასე თავდაყირად გაანაწილოს სწორედ ამას სჩადიოდა ხშირად განსახკომი.

დაუშვა რა შეცდომები ახალი სკოლების აგების დროს, განსახკომმა აქამდის ვერ შესძლო უზრუნველეყო ბოლშევიკური წესრიგი არსებულ სასკოლო შენობებში. ჭუჭყს, ანტისანიტარიას, უპატრონობას ძალიან ხშირად შეხვდებით სკოლაში — იმ დაწესებულებაში, რომელიც უნდა იყოს ყველაზე სუფთა. ყველაზე უკეთ მოწესრიგებული ქალაქში. კომერციული ქვეილით შეპყრობილი სკოლის ადმინისტრატორები, მშობელთა დამხმარე საბჭოების თანხმობით, ხშირად იჯარით აძლევენ სხვადასხვა კანცელარიებს ისედაც გადატვირთულ სასკოლო შენობებს. მოსკოვში ფრუნზეს რაიონის მეოთხე სკოლის დამხმარე საბჭოს თავმჯდომარემ ჩისტიაკოვმა თავისი „დახმარება" იქამდის მიიყვანა, რომ... სკოლა დაიკავა თავის დაწესებულებისთვის... ამ უმსგავსობაში დანაშაული მიუძღვის აგრეთვე კომკავშირს, რომელიც განსახკომთან ერთად პასუხს აგებს წესრიგისათვის სკოლებში.

მაგრამ უწესრიგობა სკოლაში სცილდება ჭუჭყისა და ანტისანიტარიის ჩარჩოებს. ახლანდელი სასკოლო ყოფაცხოვრების მთავარი უბედურებაა, რომ თითქმის სრულიად არ წარმოებს აღმზრდელობითი მუშაობა, სუსტია დისციპლინა, არავინ ადევნებს თვალყურს ბავშვების ყოფაქცევას ოჯახში და ქუჩაში.

ამ უმნიშვნელოვანეს საკითხებს სკოლის ადმინისტრაცია, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები უდგებიან ზერელედ, ფორმალურად, კაზიონურად, გაუპიროვნებულად და არ აქცევენ ყურადღებას და თვალყურს არ ადევნებენ თვითეულ ცალკე მოწაფეს, არ ითვალისწინებენ მის ინდივიდუალურ თავისებურებებს და მიდრეკილებებს. ამის გამო ბევრი ბავშვი თავს გრძნობს მივიწყებულად, განმარტოვებულად.

ხოლო ეს იწვევს მათ მოწყვეტას საზოგადოებრივ ცხოვრებისაგან, აჩვევს მათ ანგლობას, ხულიგნობას, ხოლო ზოგჯერ დანაშაულობის გზაზედაც აყენებს.

კლასობრივი მტერი, რომელიც ფხიზლად ადევნებს თვალყურს ჩვენს ნორჩ თაობას, სარგებლობს ყოველგვარი საბაბით, ყოველი ხვრელით, რათა უდარდელ, გულგრილ პედაგოგების და კომკავშირელ მუშაკების ცხვირწინ შეიპაროს სკოლაში და თავის მაიმუნურ თათებში ჩაიგდოს ის, რაც ცუდად ძევს.

მთელ რიგ ქალაქებში, განსაკუთრებით მსხვილ დიდქალაქებსა და ცენტრებში სისხლის სამართლის

გაგრძელება იხ. მე-2 გვ.

საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ეკონომიური ურთიერთობა

პარიზი, 25 თებერვალი. დეპუტატმა ამიდიუ დიუკლომ მიმართა ფლანდენს წერილობითი შეკითხვით ამასწინათ დადებული საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის სავაჭრო შეთანხმების შესახებ. აღნიშნავს რა, რომ შეთანხმება განზე სტოვებს იმ 12 მილიარდი ოქროს ფრანკის საკითხს, რომლებიც დააბანდეს ფრანგებმა მეფის სესხებში, დიუკლო იძლევა კითხვას:—ხომ არ წარმოადგენს ეს შეთანხმება უარის თქმას ამ სესხების მქონეთა პრეტენზიების დაკმაყოფილების მოთხოვნაზე. ფლანდენმა მისცა წერილობითი პასუხი, რომელშიაც ნათქვამია:

„1934 წლის 9 დეკემბერს მოსკოვში ხელმოწერილი ოქმი მთლიანად იქნა გამოქვეყნებული 1934 წლის 20 დეკემბერს. არასოდეს არ დასმულა საკითხი საბჭოთა კავშირისათვის უპირატესობათა მიცემის შესახებ გარეშე სათანადო დათმობებისა მის მხრივ. პირიქით, შეთანხმება ამტკიცებს იმ პრინციპს, რომ საფრანგეთს მიეცემა მნიშვნელოვანი დაკვეთები კრედიტის განსაზღვრულ პირობებში, რომლებიც სხვათაშორის, ჯერ კიდევ გარკვეული უნდა იქნას. მეორეს მხრივ, მუდამ აღვნიშნავდით, რომ საქმე ეხება მხოლოდმხოლოდ სავაჭრო მოლაპარაკებას, რომელსაც არავითარი დამოკიდებულება არა აქვს სხვა ხასიათის საკითხებთან" (ადს).

„ურთიერთ დახმარების შესახებ შეთანხმების" იდეა

პარიზი, 27 თებერვალი. „ევრი" ეხება რა საიმონის ბერლინში გამგზავრების შესაძლო შედეგებს, წერს, რომ საფრანგეთის პოლიტიკურ წრეებში თავი იჩინა მისწრაფებამ შეწყდეს დაუსრულებელი ვაჭრობა გერმანიასთან აღმოსავლეთის პაქტის შესახებ და დადებულ იქნას საფრანგეთსა, ჩეხოსლოვაკიასა და საბჭოთა კავშირს შორის შეთანხმება ურთიერთ დახმარების შესახებ. ამასთან გერმანიას და პოლონეთს მიეცეს საშუალება შეუერთდენ მას შემდეგში (ადს).

თურქეთი ყიდულობს ავტობუსებს საბჭოთა კავშირში

სტამბოლი. ანკარის მუნიციპალიტეტის საბჭოს სხდომაზე განხილულ იქნა საკითხი საბჭოთა კავშირში 100 ავტობუსის და 200 საბარგო ავტომობილის ყიდვის შესახებ. მიღებულია გადაწყვეტილება გაიგზავნოს საბჭოთა კავშირში სპეციალური კომისია ავტობუსების საყიდლად.

ამ სხდომაზე განხილულ იქნა კანალიზაციის მოწყობის საკითხი. მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათ საბჭოთა კავშირში უკვე დაუკვეთეს ორი საწმენდი მანქანა. (ადს).

◆ ◆ ◆ ◆



გიბრალტართან, პუნტა - ალტარესის მიდამოებში დაიწყო მუშაობა სრუტის ფსკერქვეშ გვირაბის გასაყვანად, რომელიც ევროპას შეაერთებს აფრიკასთან. გვირაბის გაყვანა უნდა დამთავრდეს 4 წელიწადში.

სურათზე: პირველი მაღარო, გათხრილი 100 მეტრის სიღრმით.

◆ ◆ ◆ ◆

ლი შაო-ჟენი უარყოფს

შანხაი, 27 თებერვალი. ხარბინიდან იუწყებიან, რომ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის გამგეობის თავმჯდომარემ ლი შაო-ჟენმა ინტერვიუს დროს უარყო თეთრგვარდიელთა გაზეთების პროვოკაციული ცნობები აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის მმართველის ამხ. რუდის მიერ ორთქლმავლების და ვაგონების გაყიდვის შესახებ. (ადს).

„პრავდას" მოწინავეს დასასრული

და ანტისაბჭოთა ელემენტები იტყუებენ ბავშვებს, აჩვევებენ მათ ქურდობის, ხულიგნობის, ლოთობის გზაზე, ქმნიან ყოველგვარ ჯგუფებს, ქურდ „შაიკებს" და ორგანიზაციებს.

განსახკომი და კომკავშირი ასეთ შემთხვევებს გებულობენ გაზეთებიდან, თუმცა თვითონ პირველნი უნდა ებრძოდნენ სასკოლო ცხოვრების ასეთ სნეულებებს, ან სიგნალს მაინც იძლეოდნენ მათ შესახებ.

რასაკვირველია, ძირითადად, სასკოლო ახალგაზრდობის დიდი უმრავლესობა — ეს არის ჩვენი, საბჭოთა, ბოლშევიკური ახალგაზრდობა, სიხალისით, თავისთავისა და თავის მომავლისადმი რწმენით აღსავსე. მაგრამ უაღრესად დიდ შეცდომას ჩადიან და უდიდეს ზიანს აყენებენ იმავე ახალგაზრდობას პედაგოგები და კომკავშირელი ხელმძღვანელები, როცა ისინი „რყვნიან" ბავშვებს, ნებას აძლევენ მათ დაუსრულებლივ იანცონ და იგიჟონ. გულდამშვიდებით უყურებენ მათ საქციელს ქუჩაში, ტრამვაიზე და ავტომობილებზე ჩამოკიდებას, შუშების მტვრევას, უხეშობას და თავხედობას უფროსებთან. ღიმილით და ალერსით ხვდებიან რა „ანცი ბავშვების" საქციელს აღმზრდელები თითონვე ხელს უწყობენ მათ გადასვლას ხულიგნობის და გახრწნის გზაზე. ნამდვილი ბოლშევიკური აღზრდის სისტემა ბავშვებისადმი გულისხმიერ და სიყვარულით მიდგომასთან ერთად მოითხოვს აგრეთვე სიმტკიცეს და შეურიგებლობას თავაშვებულობასთან, ანტისაზოგადოებრივ საქციელთან. ძნელად აღსაზრდელი და დეფექტიური ბავშვები, რომელნიც საკმაოდ სწრაფად არ ექცევიან ზეგავლენის ქვეშ, საჭიროა დროებით გამოყოფილ იქნან განსაკუთრებულ სკოლებში სპეციალური რეჟიმით.

პარტია და მთავრობა, რომელნიც დაუღალავად და ენერგიულად მუშაობენ ახალი საბჭოთა თაობის სწავლების და აღზრდის საკითხებზე, სახალხო განათლების ორგანოებისა და კომკავშირულ ორგანიზაციებისაგან მოითხოვენ უმაღლეს და უსასტიკეს პასუხისმგებლობას ამ უმნიშვნელოვანეს უბნისთვის. ეს გათვალისწინებული უნდა ჰქონდეს განათლების სახალხო კომისარიატის ხელმძღვანელობას და კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს.

საბჭოთა კავშირში

ამხ. მოლოკოვი ჩაფრინდა ნოვოსიბირსკში

ნოვოსიბირსკი, 27 თებერვალი. საბჭოთა კავშირის გმირი ამხ. მოლოკოვი გაფრინდა ომსკიდან დღეს, 1 საათსა და 09 წუთზე, მოსკოვის დროით და დაეშვა ნოვოსიბირსკის აეროდრომზე. გზა ომსკიდან ნოვოსიბირსკამდე (650 კილომეტრი) გაიარა 2 საათსა და 30 წუთში (ადს).

ველოსიპედების და პატეფონების გამოშვება

მოსკოვი, 27 თებერვალი. წელს გასაყიდად გამოშვებული იქნება 240 ათასი ველოსიპედი. ეს პირველი შემთხვევაა, რომ ასე დიდი რაოდენობით გამოდის ქალების, ბავშვების და საშეჯიბრო ველოსიპედები.

დიდდება რადიომიმღებთა წარმოება. გამოშვებული იქნება 115 ათასი ცალი სალამპო მიმღები, აქედან 50 ათასი ცალი „საკოლმეურნეო" „ბი" მარკის.

საგრძნობლად ფართოვდება პატეფონების გამოშვება. მაღაზიები მიიღებენ 300 ათას ცალ პატეფონს და მათი სათადარიგო ნაწილებს. გამოშვებული იქნება 10 მილიონი, შარშანდელ წელთან შედარებით, გაუმჯობესებული ხარისხის ფირფიტა (ადს).

მიჩურინის ინსტიტუტის მუშაობის შედეგები

ვორონეჟი, 27 თებერვალი, 26 თებერვალს მიჩურინსკში საკავშირო თათბირზე მეხილეობის საკითხების შესახებ შეჯამებულ იქნა მიჩურინის ინსტიტუტის და მისი [illegible] სადგურების მუშაობის შედეგები.

მიჩურინის ჯიშების ხეხილის კულტურებს საბჭოთა კავშირში უკავია 3 ათასამდე ჰექტარი. მიჩურინსკის სანერგე ყოველწლიურად იძლევა 50 ათასამდე ნერგს. მოეწყო 30 ჯიშის სანერგე ვორონეჟის, კურსკის, მოსკოვის და დასავლეთის ოლქებისათვის (ადს).

საადრეო თესვა აზოვ-შავი ზღვის მხარეში

დონის როსტოვი, 27 თებერვალი. [illegible] საადრეო თესვამ მხარეში ფართო ხასიათი მიიღო. ამას ხელს უწყობს თბილი მზიანი ამინდი. დათესილია 60 ათას ჰექტარზე მეტი მარცვლეული (ადს).

იუმოზეროში ჩავიდა აერომარხილების კოლონა

იუმოზერო, 26 თებერვალი. საბჭოების მე-7 ყრილობის სახელობის საკავშირო გარბენის აერომარხილთა კოლონა ჩავიდა სოფელ იუმოზეროში, სადაც ერთ დროს გადასახლებული იყო ამხ. ენუქიძე.

აერომარხილების კოლონის შემდგომი გზა გაივლის მძიმე პირობებში. გარბენის მონაწილეები დარწმუნებული არიან, რომ ხუთი ათას კილომეტრიან მარშრუტს ზამთრის უგზოობის პირობებში ისინი წარმატებით დაამთავრებენ (ადს).

კინოფილმების განმხილველი ჟიურის შემადგენლობა

მოსკოვი, 27 თებერვალი. იმ ფილმების განსახილველად, რომლებსაც უჩვენებენ კინოფესტივალზე და რომლებიც მონაწილეობას ღებულობენ კონკურსში, მოეწყო ჟიური. ეს ჟიური მიუსჯის ჯილდოს საუკეთესო კინონაწარმოებისათვის. ჟიურის შემადგენლობაში შედიან სსრ კავშირის სახკომსაბჭოსთან არსებული კინოფოტომრეწველობის მთავარ სამმართველოს უფროსი ამხ. შუმიაცკი (თავმჯდომარე), საფრანგეთის დელეგაციის მეთაური ბ. დებრი. უცხოეთთან კულტურული კავშირის საზოგადოების თავმჯდომარე ამხ. აროსევი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე ამხ. ეიზენშტეინი და რეჟისორები პუდოვკინი და დოვჟენკო (ადს).

საუკეთესო ჯიშის ხილი საკოლმეურნეო საკარმიდამო მიწებზე

ვორონეჟი, 27 თებერვალი. მიჩურინსკში ჩავიდა მოსკოვის ოლქის კოლმეურნეობების დელეგაცია იმასთან დაკავშირებით, რომ მოსკოვის ბოლშევიკების ხელმძღვანელმა ამხ. კაგანოვიჩმა წამოაყენა ამოცანა გაშენდეს თითოეულ კოლმეურნეობაში 5 ჰექტარამდე საკოლმეურნეო ბაღი და ათი ხეხილი თითოეული კოლმეურნის საკარმიდამო მიწებზე.

ამხ. მიჩურინი მოსკოველ კოლმეურნეებს შეჰპირდა მეცნიერულ დახმარებას და საუკეთესო ჯიშის ვაშლის, მსხლის, ალუბლის ქლიავის და ყურძნის ნერგებს და თესლს (ადს).

◆ ◆ ◆ ◆

ტფილისის სამეცნიერო - საკვლევო ჰიდრო - ენერგეტიული ინსტიტუტი გარდა პრაქტიკული ხასიათის მუშაობისა დიდ მუშაობას აწარმოებს ინსტიტუტის სამეცნიერო შრომების გამოსაცემად.

სურათზე: ინსტიტუტის თანამშრომელი ქალი ამხ. ბერეჟნაია აწესრიგებს ინსტიტუტის სამეცნიერო შრომებს.

ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭოში და საკ. კ. პ. (ბ) ც-კში

მოსკოვი, 28 თებერვალი. ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილეს ქალაქებში სკოლების მშენებლობის საკითხი.

ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭომ და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა აღნიშნეს, რომ პირველი და მეორე ხუთწლედის პერიოდში სოციალისტური მეურნეობის ზრდის და განმტკიცების შედეგად და, პირველ რიგში, ქალაქებისა და სამრეწველო ცენტრების ზრდის და საყოველთაო სავალდებულო სწავლების შემოღების შედეგად, იმ ბავშვთა რიცხვი, რომლებიც სკოლებში სწავლობენ, 11,3 მილიონიდან 24 მილიონამდე გაიზარდა, აქედან ქალაქებში — 3.200 ათასიდან 5.800 ათასამდე. ამ წლების განმავლობაში სკოლების რიცხვი თითქმის 50 ათასით გადიდდა — 18 ათასიდან 167 ათასამდე. უმთავრესად სოფლად. სასკოლო მშენებლობაზე დახარჯული საერთო თანხა უდრის— 1.100 მილიონ მანეთს.

მაგრამ სკოლების ტერიტორიალური განაწილება არ ემთხვეოდა ქალაქებისა და მუშათა დაბების მწვავე მოთხოვნილებებს და სკოლების მშენებლობა ჩამორჩებოდა მოსწავლეთა ზრდას.

მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომები, განსაკუთრებით რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის და უკრაინის ს. ს. რესპუბლიკის განსახკომები, ცუდ ხელმძღვანელობას უწევდენ სასკოლო მშენებლობას, უმართებულოდ ხარჯავდნენ, ხოლო ზოგჯერ მთლიანად ვერ იყენებდნენ სახელმწიფო ასიგნობებს სკოლების მშენებლობისათვის, განსაკუთრებით ვერ უზრუნველყვეს ახალი სასკოლო შენობებით მსხვილი ქალაქები და სამრეწველო ცენტრები.

ახალი სასკოლო შენობები ქალაქებში აშენებულია არაეკონომიურად, დიდი ხარჯებია გაწეული დამხმარე შენობებზე (სახელოსნოები, სასადილოები, დარბაზები და სხვ.), რაც ზიანს აყენებდა სასწავლო მეცადინეობისათვის საჭირო საკლასო ოთახების მშენებლობას. სკოლების შენობები საკლასო მეცადინეობისათვის ფაქტიურად გამოყენებული იყო საშუალოდ 35 პროცენტამდე, ხოლო ზოგიერთ სკოლებში — 30 პროცენტამდე.

რუსეთის ს. ფ. ს. რესპუბლიკის და უკრაინის ს. ს. რ. განსახკომების და სხვა რესპუბლიკების განსახკომების ამ შეცდომათა შედეგად, საბჭოთა კავშირის საქალაქო სკოლებში შეიქმნა სრულიად დაუშვებელი პირობები ბავშვთა სწავლებისათვის: დაწესებულია ორცვლად, ხოლო ბევრ სკოლაში სამცვლად მეცადინეობა, ამასთან მესამე ცვლა მეცადინეობს საღამოს 11 საათამდე. მთელ რიგ სკოლებში შემოღებულია მეცადინეობის ისეთი წესი (განუწყვეტელი მეცადინეობა), რომლის დროსაც ბავშვებს არა აქვთ ერთიანი დასასვენებელი დღე და მუდმივი საკლასო ოთახები.

ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭო და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტი, სრულიად დაუშვებლად სთვლიან რა ასეთ მდგომარეობას, ადგენენ:

1. მოისპოს 1935 წლის შემოდგომისათვის დიდი ქალაქების სკოლებში და 1936 წლის შემოდგომისათვის საბჭოთა კავშირის ყველა საქალაქო სკოლებში მესამე ცვლა და მეცადინეობის ისეთი წესი, როცა მოსწავლეებს არა აქვთ ერთიანი დასასვენებელი დღე და მუდმივი საკლასო ოთახები.

ორცვლიანი მეცადინეობა სკოლებში მოისპოს უდიდეს ქალაქებში 1937 წელს, ხოლო მთელს საბჭოთა კავშირში—1938 წელს.

2. იმისათვის, რომ მოისპოს ქალაქის სკოლებში 1936 წლის დამდეგისათვის მესამე ცვლა და მეცადინეობის ისეთი წესი, როცა მოსწავლეებს არა აქვთ ერთიანი დასასვენებელი დღე და მუდმივი საკლასო ოთახები, და რათა უზრუნველყოფილ იქნას მოსწავლეთა ახალი კონტინგენტის მიღება:

ა) აშენდეს 1935 წელს საბჭოთა კავშირის ქალაქებში № 1 სიით 374 სკოლა—240.390 მოსწავლისთვის, ღირებულებით 223.978 ათასი მანეთით (გარდამავალი მშენებლობის და მოწყობილობის ხარჯების ჩათვლით).

ბ) გადაცემულ იქნას 1935 წლის პირველ ივნისისათვის მოკავშირეთა რესპუბლიკების განსახკომების გამგებლობაში სკოლებისთვის 72 საფაბრიკო - საქარხნო სკოლა 28.820 მოწაფის ადგილით.

გ) წინადადება მიეცეს მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებს და სახალხო განათლების განყოფილებებს დააწესონ სკოლების შენობების უფრო რაციონალური გამოყენება, გამოიყენონ კლასებისათვის ეგრეთწოდებული დამხმარე სადგომები (დარბაზები, სამუშაო ოთახები და სხვ.). და კლასებისთვის სასკოლო ფართობის გამოყენების პროცენტი 35 პროცენტიდან აიყვანონ 60—65 პროცენტამდე.

3. დამტკიცდეს სასკოლო შენობების ტიპები ქალაქებში და იკრძალოს არატიპური სკოლების მშენებლობა მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოების ნებადაურთველად.

დაევალოს განათლების კომისარებს პირადად დაამტკიცონ სასკოლო შენობების ყველა პროექტი სასკოლო მშენებლობის დაწესებულ ტიპებთან და ნორმებთან შეფარდებით.

4. დაწესდეს, რომ მთელი ასიგნობები სასკოლო მშენებლობისათვის გაიცემა განსახკომების ბიუჯეტებით განსაკუთრებული პარაგრაფებით; სასკოლო მშენებლობისათვის გაღებული კრედიტების განმკარგულებლები არიან განსახკომები და სახალხო განათლების განყოფილებანი ადგილებზე.

5 დაწესდეს, რომ სასკოლო მშენებლობისათვის როგორც ადგილობრივი ბიუჯეტით, ისე სამეურნეო ორგანოების ბიუჯეტებით გაღებული თანხები, გამოყოფილ უნდა იქნას, როგორც მიზნობრივი ფონდი და არ შეიძლება მათი გამოყენება სხვა საჭიროებისათვის.

სასკოლო მშენებლობისათვის წლიური ასიგნობათა მთელი თანხიდან არანაკლებ 30 პროცენტისა გაცემულ იქნას პირველ კვარტალში, არანაკლებ 70 პროცენტისა—წლის პირველ ნახევარში და არანაკლებ 90 პროცენტისა — პირველი სამი კვარტალის განმავლობაში.

6. ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭომ ათი დღის ვადაში, ს. ს. რ. კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის წარდგენით, უნდა გამოჰყოს საშენი მასალის მომარაგების 1935 წლის გეგმებში საშენი მასალის ფონდები, რომლებიც უზრუნველყოფენ სასკოლო მშენებლობის ნამდვილ პროგრამას.

7. მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომების შემადგენლობაში მოეწყოს სასკოლო მშენებლობის სამმართველოები, სახალხო განათლების სამხარეო და საოლქო ორგანოებში და ავტონომიურ რესპუბლიკათა განსახკომებთან — სასკოლო მშენებლობის განყოფილებანი, რომლებსაც დაეკისროს სასკოლო შენობათა მშენებლობის ხელმძღვანელობა, დაპროექტება, საშენი მასალის მომარაგების ორგანიზაცია და ადგილებზე სასკოლო მშენებლობის მდგომარეობის შემოწმება.

8. შეიქმნას დიდ ქალაქებში სასკოლო მშენებლობის ტრესტები, რომლებიც უშუალოდ დაექვემდებარებიან საქალაქო საბჭოებს.

დაევალოს მოკავშირე რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს დააწესონ იმ ქალაქების სიები, რომლებშიაც უნდა შეიქმნას სასკოლო მშენებლობის ტრესტები.

9. დაევალოს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას შეიმუშაოს 1935 წლის პირველ მაისისათვის და ს. ს. რ. კავშირის სახკომსაბჭოს დასამტკიცებლად შეიტანოს 1936—1940 წლებში სასკოლო მშენებლობის გეგმა, ამასთან მხედველობაში იქონიოს ყველგან სკოლებში ორცვლიანი მეცადინეობის ლიკვიდაცია.

10. დაწესდეს შემდეგი მიღება ს. ს. რ. კავშირის უმაღლეს პედაგოგიურ სასწავლებლებში:

	4 წლიან პედაგოგიურ ინსტიტუტებში	2-წლიან სამასწავლებლო ინსტიტუტებში
1935 წელს	22 ათასი	22 ათასი
1936 წელს	28,6 ათასი	23 ათასი
1937 წელს	36 ათასი	25 ათასი

ამასთან შეფარდებით მოკავშირე რესპუბლიკათა განსახკომებს მიეცეს 1935 წელს პედაგოგიური სასწავლებლების საერთო საცხოვრებელთა შენობების მშენებლობისა, რემონტისა და მოწყობილობისათვის კაპიტალური დაბანდების ხაზით 45 მილიონი მანეთი. წინადადება მიეცეს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიას მიღების აღნიშნული კონტინგენტები და კაპიტალური დაბანდების თანხები გაანაწილოს მოკავშირე რესპუბლიკათა შორის.

მეტროს ქრონიკა

მოსკოვი, 28 თებერვალი. მოსკოვის მეტროპოლიტენის სამმართველო ენერგიულად ემზადება მოძრაობის გახსნისათვის, რაც უახლოეს დროში უნდა მოხდეს. მთელი მოსამსახურე პერსონალი უკვე დაკომპლექტებულია. ახლა მიმდინარეობს მატარებელთა წამყვანების და უფროსების, სადგურთა უფროსების, მორიგების და დანარჩენი მუშაკების სწავლება და ინსტრუქტაჟი.

დეპოში არის 40 ვაგონი, რომლებიც სავსებით მზად არიან ექსპლოატაციისათვის. მეტროპოლიტენის სამმართველო მალე მიიღებს კიდევ 10 ვაგონს. საღამოობით მეტროს ხაზებზე დადიან სასწავლო მატარებლები.

მთავრობის კომისია, რომელიც მეტროპოლიტენის მისაღებად დანიშნულია (ს.ს.რ. კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ც. კ-ის მიერ, დაიყო რამდენიმე ქვეკომისიად და მან თავისი მუშაობაში ჩააბა დიდი სპეციალისტები. მთავრობის კომისიის წევრები აწარმოებენ გვირაბის, ლიანდაგების, სადგურების და სხვ. დათვალიერებას.

გუშინ საღამოს მოხდა ესკალატორების გამოცდა „ძერჟინსკის მოედნის" სადგურზე. ესკალატორების ტექნიკური ხარისხის შესამოწმებლად სრული დატვირთვის დროს მოწვეული იყო 700 კაცი. (ადს).

დ. დემეტრაძე

კლასობრივად მტრული იდეების შესახებ ლიტერატურაში

ჩვენი კრიტიკა მარქსისტულ-ლენინური იდეების გამტარებელი უნდა იქნეს მწერლობაში. იგი პარტიის ამოცანათა სიმაღლეზე უნდა იდგეს. ამის ერთერთი პირობა მორიგ პრობლემათა ნათელი გაგებაა, რომლებიც ლიტერატურის განვითარების ამათუიმ ეტაპზე არიან წამოყენებული. ღრმა პრინციპიალობა, შეურიგებლობა კლასობრივად მტრულ შეხედულებებისადმი— ჩვენი ლიტერატურული პრესის მუშაობის მთავარი, გადამწყვეტი პირობაა. მიმდინარე პერიოდში კრიტიკის ერთერთი ცენტრალური ამოცანაა — შეურიგებელი ბრძოლა მტრულ მიმდინარეობათა წინააღმდეგ. განსაკუთრებით დღეს გვმართებს ჩვენ უდიდესი სიფხიზლე, დაუნდობელი ბოლშევიკური პირდაპირობა. კლასობრივი მტრის ნამსხვრევები ლიტერატურაშიაც იჩრებიან. არა ერთი და ორი მაგალითი მოგვეპოვება ამის ნათელსაყოფად. საკმარისია თუნდაც დავასახელოთ აქ უკანასკნელ ხანებში გამოქვეყნებული ახალგაზრდა მწერლის გ. შატბერაშვილის კონტრ - რევოლუციური, ფაშისტური განწყობილებებით გამსჭვალული ლექსები რომელთაც ჩვენმა პრესამ უკვე სათანადო მკაცრი [illegible]. რომ ნათელი გახდეს, თუ როგორ მეტად მოქნილ, სპეციფიურ ფორმებში მჟღავნდება ჩვენთვის აშკარა მტრული შეხედულებები.

ამ წერილში ჩვენ გვინდა შევეხოთ ზოგიერთი კრიტიკოსის მავნე შეხედულებებს, რომლებიც სამწუხაროთ მთელი სისრულით ჯერ კიდევ მხილებული არ ყოფილა. ამ შეხედულებებმა ერთგვარად დამთავრებული კონცეპციის სახე მიიღეს. ჩვენის აზრით აუცილებელია მის მავნებლობაზე მთელის ხმით ითქვას. პირველ რიგში შევეხები ამ კრიტიკოსთა პრაქტიკულ საქმიანობას.

საბჭოთა მწერლების მთავარი ამოცანაა — თავიანთ მხატვრული სიტყვის იარაღით აქტიური მონაწილეობა მიიღონ სოციალისტურ მშენებლობაში. შექმნან ისეთი მხატვრული ნაწარმოები, რომელიც სოციალიზმის გამარჯვების პათოსით იქნება გამსჭვალული. სოციალისტური მშენებლობის თემატიკა ძირითადია საბჭოთა მწერლის შემოქმედებაში. ეს, რათქმა უნდა, იმას სრულიად არ ნიშნავს, რომ საბჭოთა მწერალი თავის შემოქმედების ობიექტად წარსულის ან მომავლის რომელიმე საყურადღებო პრობლემას არ იღებდეს. მთავარი და განმსაზღვრელი აქ ის არის, რომ შორეული წარსულის რომელიმე თემის დამუშავებითაც საბჭოთა მწერალი უნდა იცავდეს მუშათა კლასის ინტერესებს, ამაგრებდეს სოციალისტურ სამშობლოს. ამ ამოცანის გადასაჭრელად მწერლის მთავარი გზაა — პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის ისტორიის სწორად ასახვა.

ცნობილია აგრეთვე ის დებულებაც, რომ მომავალი, არ არის დაშორებული აწმყოსაგან ჩინური კედლებით, რომ იგი დღევანდელობაშია მოცემული, რომ სოციალისტური დღევანდელობისათვის ბრძოლა არის ამავე დროს ბრძოლა ჩვენი მომავლისათვის. ამ თითქოს უდაო საკითხების შესახებ ლიტერატურულ პრესაში მეტად „ორიგინალური" აზრებია გამოთქმული. აი ფაქტები.

ქუთაისის ლიტერატურულმა გაზეთმა— „სიტყვა და საქმემ" (1934 წ. № 5) სპეციალური ნომერი უძღვნა ახალგაზრდობის საკითხს. ამ ნომრის მეორე გვერდი იხსნება შემდეგი „მოწოდებით" ახალგაზრდობისადმი: (ეს „მოწოდება" გაზეთის მესვეურებმა ამოიღეს ჩერნიშევსკის ნაწარმოებიდან და გაუშვეს ანშლაგის სახით მთელი გვერდის გასწვრივ):

> „მომავალი ბრწყინვალე, მშვენიერია. შეიყვარე იგი, გაეშურეთ იმისკენ... იმუშავეთ იმისათვის, დაიახლოვეთ იგი... რამდენის გადმოღებაც შეგიძლიათ, გადმოიღეთ ამ ცხოვრებისათვის... თქვენი ცხოვრებაც იქნება იმდენად ნათელი, სავსე სიკეთით, სიხარულებით და სიამოვნებით, რამდენადაც უფრო ბევრის გადმოღებას მოახერხებთ მომავლიდან აწინდელში... შეიყვარეთ იგი, გაეშურეთ მისკენ!..." (ნ. გ. ჩერნიშევსკი).

აქ მდგომარეობას სრულიად არ ცვლის ის გარემოება, რომ ეს სიტყვები ეკუთვნის ისეთ დიდ რევოლუციონერს, როგორიც ჩერნიშევსკი იყო. განა შეიძლება ჩერნიშევსკის ეს სიტყვები, წარმოთქმული შავი რეაქციის დროს, მიმართული მაშინდელი რეჟიმის წინააღმდეგ, მოვწყვიტოთ ისტორიულ ჩარჩოდან, დავარღვიოთ ისტორიული პერსპექტივა და როგორც დამახასიათებელი გადმოვიტანოთ სოციალიზმის მშენებლობის ეპოქაში, დავსახოთ დღეს სამოქმედო ლოზუნგად? რომელ „ბრწყინვალე მომავალზე" ლაპარაკობს გაზეთი? რატომ არ არის ჩვენი ახალგაზრდობის ცხოვრება „ნათელი", „სავსე სიკეთით", ამის განმარტებას ჩერნიშევსკის ფალსიფიკატორები არ იძლევიან. მათ გაუყალბებიათ, დაუმახინჯებიათ ჩერნიშევსკის სიტყვების აზრი და უცდიათ მისი გამოყენება სხვა ფარული მიზნებისათვის. კიდევ მეტი. ამით გაზეთი არ დაკმაყოფილდა. მას განუზრახავს თავისი ტენდენციის მხატვრული ილუსტრირებაც. იმავე გვერდზე, ჩერნიშევსკის ამ ციტატის ქვემოთ, დახატულია ახალგაზრდა მუშა, რომელიც ცარიელ სივრცისაკენ (ალბად უფრო „ბრწყინვალე მომავლისაკენ") იშვერს ხელს. იმავე გვერდზე ახალგაზრდობაზე მოყვანილია უიტმანის შემდეგი სიტყვები:

> „თქვენ მომავლის პოეტებო, ოქროპირებო, მომღერლებო, მომავლის მუსიკოსებო! აღსდექით, ჩემო ნორჩო თაობავ, მკლავით მაგარო ატლეტიურო აღსდექი ცვლად და მე მინდა თქვენ გაგამართლოთ". (უოლტ უიტმანი).

ჩვენი ახალგაზრდობისადმი ასეთ მოწოდებათა კონტრრევოლუციური, ანტისაბჭოთა აზრი გასაგებია მას კომენტარიები არ სჭირდება მთავარია აღვნიშნოთ, რომ ჩვენ საქმე გვაქვს დღევანდელობის მომავალთან აშკარა დაპირისპირებასთან.

იმავე ნომერში მოთავსებულია ვინმე „კომკავშირელის" წერილი სათაურით „დეკორაციის იქით მხარეს". ამ წერილში ავტორი მეტად ბუნდოვნად, გაურკვეველ ფრაზებში ატარებს იმ აზრს, რომ თანამედროვე ლიტერატურული ცხოვრება მოიცვა გადაგვარებამ. გავრცელდა მეშჩანური სენტიმენტალიზმი. იგი მოითხოვს „სოციალისტური სინამდვილის „ლაკიროვკის" შფერო გასასვლელ ბჭეს", „ჩვენი სიჭაბუკის განთიადი ჩვენივე ხელებით იქმნება" — სწორედ ავტორს წარმოდგენილი აქვს ჩვენი ცხოვრება, როგორც ერთგვარი დეკორაცია, რომლის იქით მას უნდა გადაიხედოს. ცხადია ეს არ არის ჩვენი ძლიერმოღვაწე ახალგაზრდობის დამახასიათებელი განწყობილებანი. იგი ავადმყოფური, მტრულია ძირშივე. მაგრამ განსაცვიფრებელია ავტორის გადაჭარბებული პრეტენზია—ილაპარაკოს მთელი კომკავშირული მწერლობის სახელით.

ამგვარ განწყობილებათა საილუსტრაციოთ დავასახელებ კიდევ შ. შავგულიძის ლირიულ ტონებში დაწერილ წერილს, რომელიც დაბეჭდილია „ლიტერატურულ გაზეთში" (№ 17) „ფიცი უცნობი ამხანაგის საფლავზე".

ავტორი დასტირის უცნობი ამხანაგის საფლავს:

> „ისტორიამ არ მოგვცა ჩვენ წყნარი სალონი... ისტორია ვერ გვიმზადებს კმაყოფილების ვარდისფერ დღეებს...საჭიროა თოფის წამალი მშრალად იყოს შენახული, ჩახმახი ფეხზე იყოს შეყენებული". „ჩვენ ბედნიერი ვართ მოვიყვანოთ ის გაზაფხული, ლირიკას რომ გაფურჩქვნის, შევქმნათ ის ცხოვრება, ყვავილებს რომ დაუწყებენ კრეფას. მაგრამ ახლა მხოლოდ ყვავილების დრო არ არის (დასტირის შავგულიძე უცნობის საფლავს დ. დ.). ასეთია ლოგიკა თითონ ცხოვრება მოითხოვს რახმეტოვის ლურსმნებს. აქ იქნება ტკივილები. ჩვენ ამას ავიტანთ. იქნება ცეცხლით გამოცდა. გაუძლებთ!".

ტრაგიულად დაღუპული უცნობი ამხანაგი სიმბოლოა გარდასულ გმირული ამბების. ამ ამბებმა გაიარა. ბრძოლა მიწყნარდა. შ. შავგულიძე მოგვიწოდებს, რომ „ნამდვილი ეპოსი კი ისევ წინ არის, მოვა ამის დრო ხვალ, ზეგ, იმის იქით" ძველი ბრძოლების რომანტიკა გაქრა, მაგრამ ამის დრო მოვა.

ეს მოტივები არ არის ახალი მოტივები ჩვენს მწერლობაში. იგი აღებულია ჩვენი მტრების იდეურ არსენალიდან, თითქოს თანამედროვე ცხოვრებას არა აქვს თავისი უდიდესი რომანტიკა, რომანტიკა გამარჯვებული სოციალიზმის. არ უნდათ გაიგონ, რომ მომავლის „ნამდვილი ეპოსი" დღევანდელ სოციალისტურ მშენებლობას, მის ჯიზს ებჯინება. მისგან გამომდინარეობს. ეს ჩვენი ცხოვრების ლოგიკაა. ეს მართლაც სენტიმენტალური გულაჩუყება „უცნობთა საფუძველზე", მელანქოლიური პოზები გაურკვეველ მომავლისადმი არ არის ჩვენი ლიტერატურის ხაზი. სოციალისტური დღევანდელობისა და მომავლის დაპირისპირების ამ ტენდენციებს მივყავართ ჩვენ კონტრრევოლუციურ ტროცკიზმის იდეებამდე.

მეორე წერილში „დღის წესრიგის საკითხები" იგივე ავტორი წერს:

> „შ. ჩიქვანის „რომანტიული ამბავი" ყოფაცხოვრების მწვავე პრობლემას ეხება, მაგრამ დადებითად ვერ წყვეტს ყველა თანამედროვე საკითხებს. მდგომარეობას სრულიად არ ამსუბუქებს ის, რომ ეს საკითხები ჯერჯერობით თვით ცხოვრებაში არ არის გადაწყვეტილი. პირიქით, ეს უფრო ზრდის მხატვრის მოვალეობას, გადაიხედოს ჰორიზონტის იქეთა მხარეს, შექმნას ისეთი სურათები. რომელიც ამაღლებს გრძნობებს, ბადებს პერსპექტივის სიცხადეს";

(იხ. „ლიტ. გაზეთი" № 1, 1935 წ.). ამ წერილშიაც ავტორი აყენებს დებულებას იმის შესახებ, რომ ყოფაცხოვრების საკითხები ცხოვრებამ ჯერჯერობით ვერ გადასჭრა, მწერალმა „ჰორიზონტის იქეთა მხარეს" უნდა გადაიხედოს. სისტემატიურად ერთ რგოლს ებმება ასეთი განწყობილებები—გადაიხედეთ „ჰორიზონტის იქეთა მხარის", „დეკორაციის იქეთა მხარის", მიმართვები მომავლისადმი და სხვ., და სხვ. ეს მდგომარეობა ნათელს ხდის იმ გარემოებას, რომ აქ საქმე გვაქვს ერთ გარკვეულ ხაზთან მწერლობაში,—სახელდობრ მწერლებს, ახალგაზრდობას მიეცეთ გეზი, ორიენტაცია არა უმთავრესად თანამედროვე სოციალისტური მშენებლობის თემატიკაზე, არამედ „მომავალზე" რომლის კონტურები ამ თვალსაზრისის ავტორებს ჯერ კიდევ ბუნდოვნად, გაურკვევლად აქვთ წარმოდგენილი.

ასე, განწყობილებათა სათავე მოცემულია ამხ. გ. ქიქოძის „თეორიაში" „ორი რომანტიკის" შესახებ.

ამხ. გ. ქიქოძე. მთელ რიგ წერილებში აშკარად უპირისპირებს რევოლუციურ რომანტიზმს საბჭოთა ლიტერატურის ძირითად მეთოდს— სოციალისტურ რეალიზმს. და ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს ხდება იმიტომ. რომ რევოლუციური რომანტიზმის ფორმულა, ამხ. გ. ქიქოძის ტრაქტოვკით, სწორედ თანამედროვეობისა და მომავლის დაპირისპირების ტენდენციას გამოხატავს, აშკარად მავნე სამოქმედო გეზს ხატავს. აი ამხ. გ. ქიქოძის ფორმულაც:

> „აღმავალი კლასის ხელოვნება რომანტიულია მით, რომ ის არის აშკარა, მტკიცე და მოურიდებელი უარყოფა წარსულით განმტკიცებული სინამდვილისა, მით რომ ასეთი ხელოვნება მთელ თავის შინაარსს სხვა მომავლისათვის ბრძოლით განსაზღვრავს. მით, რომ სინამდვილიდანვე ნასესხები საშუალებებით ამავე სინამდვილის მომავლით შეცვლისათვის იბრძვის"

(იხ. „ლიტ. საქართველო" გვ. 321—322 1934 წ.). რომელი „სხვა მომავლის შინაარს" უნდა შეიცავდეს ხელოვნება, რომელ მომავალმა უნდა შეცვალოს ჩვენი სინამდვილე? რომელ ეპოქაში უნდა იმოქმედოს გ. ქიქოძის ამ უნივერსალურმა ლოზუნგმა! აი კითხვები, რომლებიც დაისმება ამ „თეორიის" გაცნობისთანავე. მაგრამ ავტორი ამ კითხვას არ უპასუხებს გარკვევით. წერილის დასასრულს იგი აყენებს სამ ლოზუნგს:

„მოგვეცით სინამდვილე, რომელიც აგვამაღლებს ჩვენ", „მოგვეცით მომავალი, რომელიც აგვამაღლებს ჩვენ", „მოგვეცით წარსული, რომელმაც აგვამაღლა ჩვენ". ამ ლოზუნგების რეალიზაციისათვის უნდა იბრძოლოს საბჭოთა მწერლობამ. მაგრამ ისმება კითხვა, რომელია ამ ლოზუნგთა შორის მთავარი, განსაზღვრული. არის თუ არა ჩვენი სოციალისტური სინამდვილე ძირითადი საბჭოთა მწერლობისათვის, არის თუ არა იგი გადამწყვეტი რგოლი, რომელსაც ხელი უნდა ჩავჭიდოთ, მთელი ჩვენი მწერლობის მთავარი მასაზრდოებელი ძალა, რომ მან შესძლოს შეასრულოს სოციალისტურ ეპოქაში „სულის ინჟინერთა" უდიდესი როლი.

> „ახ, ისევ ეს ბურუსი წარსულისა და მომავლისა, ისევ ეს გაურკვევლობა და ოცნება, ისევ ეს გაქცევა იტყვის გერმანული ფილისტერის ტიპის „რეალისტი"... დიახაც ბურუსი და ბურუსიც! დიახაც ოცნება! ვიტყვით ჩვენ" —ამბობს ამხ. ქიქოძე (გვ. 334).

მართლაც ჩვენ ძალიან დიდ „ბურუსთან" გვაქვს საქმე. ამხ. ქიქოძე ისე შორს წავიდა, რომ ეს „ბურუსი" პროლეტარული მხატვრული მეთოდის თვისებადაც კი გამოაცხადა. (იხ. „ლიტ. საქართველო" გვ 335)

საბჭოთა ლიტერატურის მთავარი მიზანია — მხატვრული სიტყვის იარაღით განამტკიცოს არსებული სოციალისტური სინამდვილე. ეს ამავე დროს ჩვენი მომავლისთვის ბრძოლაც არის. ეს სოციალისტური რეალიზმის მთავარი მოთხოვნაა. ამხ. ქიქოძე ფიქრობს, რომ „აღმავალი კლასის ხელოვნება რომანტიულია მით... რომ იგი სინამდვილიდანვე ნასესხები საშუალებებით ამავე სინამდვილის მომავლით შეცვლისათვის იბრძვის" (გვ. 322) ეს არის გ. ქიქოძის „მომავლის" თეორიის მეთოდოლოგიური პრინციპი. მაგრამ რომელი სინამდვილის „შეცვლაზე" აქ ლაპარაკი? ამხ. ქიქოძის აზრით ორი რომანტიკა არსებობს: „რომანტიკა — მისწრაფება ისტორიული მომავლისაკენ" და „რომანტიკა — ლტოლვა ისტორიულ წარსულისადმი". (იხ. ლიტ. საქ. გვ. 321).

მაგრამ ავტორი მთელი წერილის გასწვრივ იმ ნაწილშიაც, როცა იხილავს აღმავალი კლასის ხელოვნების პრობლემებს არაფერს ლაპარაკობს არსებული სოციალისტური სინამდვილის რომანტიკაზე, იმაზე, რომ ეს სოციალისტური სინამდვილე მთავარი ჩვენი მეთოდისათვის, საბჭოთა მწერლობისათვის.

გადაჭრით უნდა ითქვას, რომ ამ მოჩვენებითმა „ბურუსმა" ბევრ ახალგაზრდას გზა-კვალი აუბნია, მოსწამლა იდეური ატმოსფერა, წარმოშვა დღევანდელობისა და მომავლის დაპირისპირების ტენდენცია, ნოყიერი ნიადაგი შეუმზადა ჩვენთვის მტრული იდეების აღმოცენებას ახალგაზრდობის ლიტერატურაში.

მთელ რიგ მომენტებში ის კვლავ აგრძელებს თავის ძველ ხაზს რომელიც წარმოადგენს კონტრრევოლუციურ ტროცკი - ზინოვიევის იდეების გამოძახილს ლიტერატურაში.

ბუნებრივია, რომ ასეთი მავნე იდეოლოგიური გეზი მეტად უარყოფით გავლენას ახდენს ზოგიერთი მწერლის მხატვრულ პრაქტიკაზედაც. მთელი რიგი იდეური ჩავარდნები ჩვენს ლიტერატურაში (უმთავრესად ახალგაზრდობის ლიტერატურას ხაზით) ზემოთ ჩვენ მიერ გარჩეულ მტრულ შეხედულებათა საფუძველზე წარმოიშობიან. ამიტომაც გადაუდებელი ამოცანაა ბოლომდე, მთელი პირდაპირობით ვამხილოთ ეს კლასობრივად მტრული შეხედულებები ჩვენს ლიტერატურაში.

საგაზაფხულო თესვა

„თესვაში პირველობას არავის დავუთმობთ“

(თელავის მტს-ი)

თელავის რაიონის პარტიულმა ორგანიზაციამ დროზე გაშალა მუშაობა საქ. კ.პ.(ბ) ც. კ-ის დეკემბრის პლენუმის გადაწყვეტილებების, დამკვრელ კოლმეურნეთა მეორე საკავშირო ყრილობაზე ამხ. იაკოვლევის მოხსენების და ახალი წესდების კოლმეურნეთათვის გასაცნობათ.

კოლმეურნეობები თვალსაჩინოდ გაიზარდენ. მარტო იანვარსა და თებერვალში რაიონში ჩამოყალიბდა 12 ახალი კოლმეურნეობა და ათასი ახალი წევრი შეემატა არსებულ კოლმეურნეობებს.

კოლმეურნეობის ზრდას თან მოსდევს საგაზაფხულო თესვისათვის მზადების ტემპების გაძლიერება. გასულ წელს მტს-ის მომსახურების კოლმეურნეობებმა გაზაფხულზე დასთესეს ყველა კულტურა 2.493 ჰექტარზე, მიმდინარე წელს კი უნდა დასთესონ 4.308 ჰექტ.

მტს-მა უნდა მოხნას 1.400 ჰექტარი, გადახნას 152 ჰექტარი და დასთესოს 400 ჰექტ. მტს-მა 18 ტრაქტორით სულ 69 კოლმეურნეობას უნდა მოუხნას 1480 ჰექტარი.

როგორც ვხედავთ დავალება მეტად სერიოზულია. გეგმა, რომ თავის დროზე შესრულდეს, სახელოსნომ და სატრაქტორო ბრიგადებმა ტრაქტორები არც ერთი საათით არ უნდა გააცდინონ.

ჩვენი ტრაქტორები მინდვრად ხვნაზე მასობრივად გავიდნენ 21 თებერვალს.

სატრაქტორო ბრიგადის ხელმძღვანელები და ტრაქტორისტები დიდი ენტუზიაზმით შეხვდნენ საგაზაფხულო თესვის დაწყებას. პირველი ბრიგადის ხელმძღვანელი ამხ. მ. გარაყანიძე (თანამგრძნობთა ჯგუფის წევრია) აცხადებს: „ჩვენ ისეთივე წარმატებით შევასრულებთ საგაზაფხულო თესვის გეგმას, როგორც შევასრულეთ ტრაქტორების და მოსაბმელ ინვენტარის შეკეთების გეგმა. თესვაში პირველობას არავის დავუთმობთ“.

ამხ. მ. გარაყანიძემ თავი დამკვრელად გამოაცხადა და სოცშეჯიბრებაში გამოიწვია მეორე ბრიგადა. დანარჩენი ბრიგადებიც ჩაებნენ სოცშეჯიბრებაში.

მტს-ის სამოქმედო რაიონი დაყოფილია 5 ბრიგადად. თვითეულ ბრიგადას მიცემული აქვს ყოველდღიური საწარმოო დავალება. სატრაქტორო ბრიგადაში გაშლილია პარტმასობრივი მუშაობა. ბრიგადებს შორის გამოცხადებულია კონკურსი.

მტს-ის დირექციამ, გამარჯვებულ ბრიგადის დასაჯილდოვებლად გამოყო 1.000 მანეთი. დაწესებულია გარდამავალი დროშაც. ბრიგადებში გამოდის ათდღიური საკედლე გაზეთები.

მიუხედავად ამისა, ჩვენს მტს-ს აქვს ნაკლოვანებები; სატრაქტორო ბრიგადები არ არიან მომარაგებული საწვავ მასალისათვის საჭირო ტარით. ბალონებს, რომლითაც ბრიგადა საწვავ მასალას ეზიდება, არა აქვს სპეციალური საცობები. ტრაქტორისტთა საყოფაცხოვრებო პირობები მინდვრად ჯერ კიდევ მოუგვარებელია. ბრიგადებს არა აქვთ პირსაბანი, საპონი, პირსახოცი და სხვ.

ამ ნაკლთა გამოსწორებისათვის დირექციამ უკვე გადადგა პრაქტიკული ნაბიჯები. მტს-ის პირველადი პარტიული ორგანიზაცია, რაიონული კომიტეტის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო გააღრმავებს პარტმასობრივ მუშაობას და უზრუნველჰყოფს საგაზაფხულო თესვის გეგმის ვადაზე და მაღალხარისხოვნად შესრულებას.

საგაზაფხულო თესვის წარმატებით ჩატარებისა და საწვავ-საცხებ მასალის ეკონომიით ხარჯვის მიზნით, თელავის მტს-მა სოცშეჯიბრებაში გამოიწვია გურჯაანის მტს-ი.

ჩვენის მხრივ არბიტრათ დასახელებულია „კომუნისტის“ რედაქცია.

მ. სიხარულიძე.

თელავის მტს-ის დირექტორის მოადგილე პოლიტიკურ ნაწილში.

საგაზაფხულო ხვნა-თესვა საქართველოში

საქ. მიწსახკომის ცნობით, საგაზაფხულო ხვნა მიმდინარეობს საქართველოს 12 რაიონში. (ახპინძის. ტფილისის, გურჯაანის, თელავის. საგარეჯოს, გორის, ქუთაისის, სამტრედიის, ხონის, აბაშის. მარტვილის და ჩოხატაურისში).

25 თებერვლისათვის მოხნული იყო სულ 13.587 ჰექტ. (გასული წლის ამავე რიცხვისათვის მოხნული იყო 7.391 ჰექტ.).

კოლმეურნეობებში მოხნულია 5.912 ჰექტ., საბჭოთა მეურნეობებში — 137 ჰექტ. და ერთპიროვნულ მეურნეობებში — 7.538 ჰექტ.

საგაზაფხულო კულტურების თესვა მიმდინარეობს ტფილისის, გურჯაანის, საგარეჯოს და ახპინძის რაიონებში. 25 თებერვლისათვის დათესილი იყო 203 ჰექტ., აქედან ხორბალი დაითესა 119 ჰექტ., ქერი — 71 ჰექტ. და ბოსტნეული—13.

15 კოლმეურნეობა შეუდგა ხვნას

ლანჩხუთი, 28 თებერვალი. სასოფლო - სამეურნეო არტელის ახალი სანიმუშო წესდების დამუშავებასთან დაკავშირებით რაიონის ყველა კოლმეურნეობაში გაძლიერდა საგაზაფხულო სას. სამეურნეო კამპანიისათვის მზადება.

15 კოლმეურნეობა უკვე შეუდგა ხვნას. გაცხოველებით მიმდინარეობს მუშაობა ჩაის პლანტაციებზე. ბევრი კოლმეურნეობა უკვე ამთავრებს ნიადაგის დაბარვას და ბუჩქების შეკრეჭას. ნინოშვილის სახელობის კოლმეურნეობამ დამკვრელ კოლმეურნეთა ყრილობის გადაწყვეტილებათა შესასრულებლად იკისრა ვალდებულება ჩაის მწვანე ფოთლის მოსავალი ჰექტარზე გაადიდოს 1600 კილოგრამამდე, ხოლო სიმინდის - 17 ცენტნერამდე.

სანიმუშოდ მუშაობენ მამათის, ხორეთის და ჩიბათის კოლმეურნეობები (ადს).

თესვისათვის ცხენის მზადყოფნის შემოწმების ათდღიური

საქართველოს მიწსახკომის გადაწყვეტილებით ყველა რაიონში პირველი მარტიდან ათ მარტამდე ჩატარდება საგაზაფხულო თესვისთვის ცხენის მზადყოფნის შემოწმების ათდღიური.

შრომისუნარმოკლებული, ავადმყოფი ცხენები გამოყოფილ იქნებიან განსაკუთრებულ ჯგუფში და მიიღებენ გაძლიერებულ კვებას, მოვლას და მკურნალობას. ათდღიურის პერიოდში ყველა რაიონში შემოწმებულ იქნება აგრეთვე ფურაჟის (უხეში და კონცენტრირებული საკვების) არსებული რაოდენობა და მისი შენახვა საგაზაფხულო თესვის პერიოდში.

ყველა რაიონის კოლმეურნეობები ჯერ კიდევ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოების დაწყებამდე ვალდებული არიან გადაზიდონ საკვები მინდვრის ბრიგადების სამყოფელ ადგილზე.

მიღებულია სასწრაფო ზომები მთელი შესაბმელ იარაღთა რემონტის დასამთავრებლად.

ამხ. ფ. მახარაძის სახელობის კოლმეურნეობის (ტფილისის გარეუბანი) [illegible]

350.000 ტონა ქვანახშირი 1935 წ.

ამხ. სერგო ორჯონიკიძემ თავის საანგარიშო მოხსენებაში საბჭოების საკავშირო მე-7 ყრილობაზე ტყიბულის ქვანახშირის შესახებ განაცხადა: „1935 წელს ტყიბულმა უნდა მოგვცეს 350.000 ტონა ქვანახშირი“-ო.

ეს გეგმა ტყიბულის მაღაროებისათვის სავსებით რეალურია მაღაროებს აქვთ შესაძლებლობა გეგმით გათვალისწინებული 350.000 ტონა ქვანახშირი 1935 წელს გადაჭარბებით ამოიღონ მით უმეტეს, მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის მიერ მიმდინარე წელს ტყიბულის მაღაროების მექანიზაციისათვის გადადებულია 4 მილიონ ნახევარი მანეთი. გარდა ამისა, ახლო ხანში მთავრდება ელექტროენერგიის გადამცემი რიონჰეს-ტყიბულის ხაზის მშენებლობა, რომელზეც ძირითადად დამოკიდებულია მექანიზაციის გატარება.

1934 წელს მხოლოდ 231.351 ტონა ქვანახშირი იქნა ამოღებული, რაც შარშანდელი გეგმის 77,1 პროცენტს უდრის. ტყიბულის მაღაროები ჩამორჩენ იანვარშიც, ნაცვლად 30.000 ტონისა ამოიღეს 22.111 ტონა (გეგმის 73,7 პროცენტი). არც თებერვალშია უკეთესი მდგომარეობა. ნახშირის ამოღების I და II დეკადის გეგმა შესრულებულია 62,1 პროცენტით. ნაცვლად 19,839 ტონისა ამოღებულია 12,321 ტონა.

რატომ ვერ აღწევენ ტყიბულელები თავს ასეთ სამარცხვინო ჩამორჩენას? იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ არის პარტიული და სამეურნეო მუშაობა გარდაქმნილი პარტიის მე-17 ყრილობის დადგენილებათა საფუძველზე. ყრილობის შედეგები აქ დიდი ხმაურით დაამუშავეს, მაგრამ მისი პრაქტიკულად გატარებისათვის დღემდე ცოტაა გაკეთებული. მაღაროების პარტიული და პროფორგანიზაციები ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების ცხოვრებაში გატარებისათვის სათანადოთ იბრძვიან.

ხელფასის საკითხი არ არის მოგვარებული. „მომემარცხენო“ გათანაბრება არ არის აღმოფხვრილი. თითეულ ბრიგადაში 20-30 კაცი მუშაობს. მათში უმრავლესობა მნგრეველ მებიჯგეა და თვითეული მათგანი თანაბრად ღებულობს ხელფასს. არავითარი განსხვავება ბრიგადის წევრებს შორის არ არის. თვით ბოლოს კანტორაში გამოიანგარიშებენ რამდენი ტონა ამოიღო ამათუიმ ბრიგადამ და ამის საფუძველზე თანაბრად აძლევენ ხელფასს ბრიგადის თვითეულ წევრს. ეს მეტად ცუდ შედეგს იძლევა. ბრიგადაში მოიპოვებიან კარგი და ცუდი მუშებიც. კარგი მუშა, რომელიც ბეჯითად მუშაობს, ხელფასის გაცემის დროს არაფრით არ განსხვავდება ცუდი მუშისაგან. მაღაროების ხელმძღვანელების აზრით, შეუძლებელია მოეწყოს თითეულ მუშის გამომუშავების აღრიცხვა. ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ ეს არა თუ შესაძლებელი, არამედ აუცილებელიც არის, უკიდურეს შემთხვევაში საჭიროა ცვლების მიხედვით მაინც მოეწყოს ბრიგადის მუშაობის აღრიცხვა.

უფრო ცუდი მდგომარეობაა ხელფასის გაცემის საქმეში. ხელფასის გაცემა სრულიად მოუგვარებელია. მაღაროს მუშები, იმისათვის რომ კუთვნილი ხელფასი აიღონ, ხშირად 2-3 სამუშაო დღეს აცდენენ თვეში. მაგ. შარვაძის ბრიგადის წევრებმა — ცნობილაძეებმა 18 და 19 თებერვალი გააცდინეს იმისათვის, რომ რიგში ჩამდგარიყვნენ და ფული აეღოთ. ხელფასის დარიგება არ ხდება ცვლების მიხედვით.

უყურადღებოთაა მიტოვებული აგრეთვე ადამიანების შერჩევის საკითხი. ხშირად საპასუხისმგებლო სამუშაოზე სრულიად უვარგის მუშაკს ნიშნავენ. მაგ. ახლახან ლენინის სახელობის მაღაროში კაპიტალური სამუშაოების ათისთავად დანიშნეს კოლცოვი. იგი სისტემატიურად ლოთობს და მუშებს ურჩევს რომ ისინი სამუშაოზე არ გავიდნენ. ამისათვის ის წინათ მოხსნეს ათისთაობიდან ნახშრის ამოღების სამუშაოებზე, მაგრამ უკანასკნელად ვიღაცას წყალობით კვლავ ათისთავად მოეწყო ასეთი „შერჩეული“ ადამიანი ვერავითარ სარგებლობას ვერ მოუტანს მაღაროებს.

ნახშირის ამოღებაზე მომუშავე ბრიგადებს არ ეწევათ სისტემატიური დახმარება და ხელმძღვანელობა. სტალინის სახელობის მაღაროს თიხნარის უბანში 25-26 იანვარს სრულიად მოცდა საუკეთესო ბრიგადა, რომელსაც აკაკი კუბლაშვილი ხელმძღვანელობს. გაცდენა გამოიწვია ვაგონეტების მიუწოდებლობამ. ამავე უბანში კარიერზე მომუშავე შარვაძის ბრიგადის მუშაობას აფერხებს გზების უქონლობა. მას არ აძლევენ საჭირო მუშა-ხელს და მოწყობილობას გზების შესაკეთებლად. ასეთივე დეფექტების შედეგად ხშირად ცდებიან ბეშკენაძის, გვენეტაძის, გაბრიაძის, მეხხორაძის და სხვ. ბრიგადები.

მაღაროების ორგანიზაციებმა ვერ აღწიეს გარდატეხას მუშა-ხელის ამაგრებაში. მუშათა საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზე აქ ნაკლებად ზრუნავენ. სწორედ ასეთი მსგავსობის შედეგად არის, რომ მაღაროებში ადგილი აქვს მუშათა დენადობას. მაგ., იანვარში სამუშაოდ მივიდა 757 კაცი, ხოლო წავიდა 654.

აქვე უნდა აღვნიშნოთ აღრიცხვის მოუწესრიგებლობა ტრესტის მთავარი ბუღალტერი — ლიუტი ამ საქმეს მეორე ხარისხოვან საქმედ თვლის. 20 თებერვლისათვის ტყიბულის მაღაროში კიდევ არ იცოდნენ. რამდენი დაჯდა ტონა ნახშირი გასულ წელს. როდესაც ლიუტს 1934 წ. თვითღირებულების უკანასკნელ ცნობას [illegible], იგი ნოემბრისას [illegible] ხელში, ხოლო შემდეგ სამთვეში რა დაემართა თვითღირებულებას, არავინ იცის.

ტყიბულის პარტიულ, პროფ და სამეურნეო ორგანიზაციებმა უნდა გამოასწორონ ეს ნაკლოვანებანი და გარდაქმნან მუშაობა მე-17 პარტიული ყრილობის და ამხ. სტალინის 6 ისტორიული მითითების საფუძველზე. მხოლოდ ეს უზრუნველყოფს 1935 წ. 350.000 ტონა ქვანახშირის ამოღებას.

გ. ჯერკვილაძე

ტფილისში 429.470 მცხოვრებია

ტფილისის საბჭოს აღრიცხვის სექტორის ცნობით, 1935 წლის 1-ლ იანვრისათვის ტფილისში ითვლებოდა 428.300 მცხოვრები. მარტო ერთ თვეში — იანვრის განმავლობაში ტფილისში ჩამოვიდა მუდმივ საცხოვრებლად 2.997 მოქალაქე. ამავე ხნის განმავლობაში ტფილისიდან სხვა ქალაქებში და სოფლებში გაემგზავრა 1827 მოქალაქე. ამგვარად იანვრის ტფილისის მცხოვრებთა რიცხვი გაიზარდა 429.470-მდე.

იანვარში ტფილისში ძისამართი გამოუცვლია (ბინების გაცვლა-გამოცვლის შედეგად) 2588 მოქალაქეს.

რიონჰეს-ტყიბულის ელექტროგადამცემი ხაზის მშენებლობა

ქუთაისი, 28 თებერვალი. რიონჰეს - ქუთაის - ტყიბულის ელექტროგადაცემის ხაზს, რომელიც ამჟამად შენდება, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ქვანახშირის ამოღების გადიდებისათვის.

ხაზი 38 ათასი ვოლტის ძაბვით იყოფა ორ უბნად. პირველი მათგანი რიონჰეს-ქუთაისი, რომლის მანძილი 7,5 კილომეტრს უდრის, დამთავრებული და გადაცემულია დროებით საექსპლოატაციოდ. ქუთაისში აგებულია მთავარი შემამცირებელი ქვესადგური 10.000 კილო-ვოლტ-ამპერის [illegible], რომელიც შესდგება სამი [illegible] ტრანსფორმატორისაგან 3,200 კილოვატი თვითეული. ამჟამად დროებით მუშაობს ერთი ტრანსფორმატორი. ქვესადგურიდან ენერგია ეძლევა ქუთაისის ყველა უდიდეს საწარმოს და ახალ მშენებლობებს, აგრეთვე ხონს, სამტრედიას, წყალტუბოს, გუმბრინს, სადაც მის მისაღებად გაშენებულია კიოსკები.

ხაზის მეორე უბანი - ქუთაისი-ტყიბული 31 კილომეტრის მანძილით უნდა დამთავრდეს მაისისათვის.

ვემზადოთ ქალთა საერთაშორისო დღისათვის

ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის წარმატებით ჩატარების მიზნით საქართველოს ცაკმა ცირკულარით მიმართა აფხაზეთის ა.ს.ს.რ-ის, აჭარისტანის ა.ს.ს.რ-ის, სამხრეთ-ოსეთის ავტ. ოლქის ცაკებს, ყველა რაიაღმასკომს, საქალაქო და სასოფლო საბჭოებს. ცირკულარში საქ. ცაკი მიუთითებს ზემოაღნიშნულ ორგანიზაციებს მიმდინარე წლის ქალთა საერთაშორისო დღე—რვა მარტი ჩაატარონ საბჭოთა კავშირის, ამიერკავკასიის და საქართველოს საბჭოების მე-7 ყრილობების დადგენილებათა პოპულარიზაციისა და მშრომელ ქალთა მასების საგაზაფხულო სას.-სამეურნეო კამპანიის კონკრეტული ამოცანების შესრულებისათვის დარაზმვის ნიშნით. ამ მიზნით საქ. ცაკი წინადადებას იძლევა განხორციელებულ იქნას შემდეგი ღონისძიებანი.

პირველი მარტიდან ყველა საწარმოში, კოლმეურნეობაში, საბჭოთა მეურნეობაში, სახ. დაწესებულებასა და საზოგადოებრივ ორგანიზაციაში მშრომელ ქალთა ფართო მასების მონაწილეობით უნდა ჩატარდეს ქალთა შრომის გამოყენების და მათი საყოფაცხოვრებო პირობების მდგომარეობის მასობრივი შემოწმება.

უნდა მოეწყოს საბავშო დაწესებულებათა დათვალიერება და დასახულ იქნას ღონისძიებანი საბავშო დაწესებულებათა ქსელის შემდგომი გაფართოებისათვის.

მუშა-ქალების, კოლმეურნე და დიასახლის ქალთა კრებებზე უნდა მოეწყოს საუბრები საბჭოთა კავშირის მიღწევებზე სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. ამ მიზნით დამუშავებული უნდა იქნას საბჭოს მე-7 საკავშირო ყრილობაზე ამხ. მოლოტოვის, ორჯონიკიძის, ჩერნოვის და კალმანოვიჩის. მიერ გაკეთებული მოხსენებები. ამავე კრებებზე გაშუქებული უნდა იქნას იმ საწარმოს, კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობის მიღწევები, სადაც ასეთი საუბრები ტარდება, შემოწმებული უნდა იქნას აგრეთვე, თუ რამდენად არიან ჩაბმულნი მშრომელი ქალები, განსაკუთრებით საბჭოების დეპუტატი—ქალები, საბჭოთა მასობრივი ორგანიზაციების მუშაობაში.

კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობებში, საწარმოებსა და დაწესებულებებში 8 მარტს მოწვეული უნდა იქნას კოლმეურნეთა და მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები, სადაც მოსმენილი იქნება მოხსენებები ქალთა საერთაშორისო დღის მნიშვნელობაზე. ამავე კრებაზე უნდა მოხდეს საუკეთესო დამკვრელი კოლმეურნე და მუშა-მოსამსახურე ქალთა დაჯილდოება და აგრეთვე დაწინაურება.

8 მარტის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისიის გამოყოფა

საქ. ცაკის პრეზიდიუმმა გამოჰყო მშრომელ ქალთა საერთაშორისო დღის — 8 მარტის ჩამტარებელი რესპუბლიკური კომისია შემდეგი შემადგენლობით. ამხ. ფ. მახარაძე (თავმჯდომარე), თ. ჟღენტი, გ. სტურუა, ნინო ჩარკვიანი, ნინო მახარაძე და პ. შარია.

აფხაზეთის, აჭარისტანის და სამხრეთ — ოსეთის ცაკებს, საქალაქო საბჭოებს და რაიონულ აღმასკომებს წინადადება მიეცათ გამოჰყონ ქალთა დღის ჩასატარებლად ანალოგიური კომისიები.



ტფილისის [illegible] ფაბრიკის დამკვრელი ქალი, [illegible] 115 პროცენტით.

გიორგი ლეონიძე

„ვეფხის ტყაოსნის“ ახალი ხელნაწერი

(წინასწარი ცნობები)

დიდ სასიხარულო ამბავად უნდა ჩაითვალოს „ვეფხის ტყაოსნის“ ერთი ახალი, ჯერ სრულიად გამოუკვლეველი და შეუსწავლელი ხელნაწერის რუსეთში გამოჩენა. იგი 1853 წ. გაუტანიათ საქართველოდან; მწერალ ალექსანდრე ორბელიანს (1802-1869) მაშინდელ მთავარმართებელ მ. ს. ვორონცოვისთვის ძღვნად მიურთმევია. ასე გვიმბობს იმ დროისთვის გამოცვლილი ყდის წარწერა პლატონ იოსელიანის (1809—1875) ხელით შესრულებული. „Книга эта „Барсова кожа“ принесена в дар князю М. С. Воронцову князем Александром Вахтанговичем Орбелиановым 1 сент. 1853 года. Тифлис“.

ეტყობა ორბელიანს იოსელიანის ხელით და შეიძლება იოსელიანის რჩევითაც მიუძღვნია იგი ვორონცოვისათვის (იოსელიანი ვორონცოვის საგანგებო მინდობილობათა მოხელედ ითვლებოდა). ა. ორბელიანი, პატრიოტი, 1832 წ. შეთქმულობის ლიდერი, რუსეთის ხელისუფლების სასტიკი მოძულე, ერთადერთი ქართველი თავადიშვილი, რომელიც მეფის მთავრობის სამსახურში აღარ შევიდა შეთქმულების შემდეგ, მიმოწერას აწარმოებდა შამილთან. მიმოწერა თურმე ხელში ჩაუვარდა ვორონცოვს, რომელმაც ორბელიანი დატუქსა, მაგრამ არ დასაჯა. შეშინებული ორბელიანი ყოველნაირად ცდილობდა ვორონცოვის რისხვის დაწყნარებას და ვფიქრობთ, რომ ჩვენი ხელნაწერი — სწორედ იმ ხანებში გასაჩუქრებული — ორბელიანმა გულისმოსაგებად მიუძღვნა მთავარმართებელს.

რასაკვირველია ა. ორბელიანზე ადრე ჩვენს ხელნაწერს თავისი სიძველის მიხედვით სხვა პატრონებიც ჰყოლია, რომელთა ვინაობასაც აქ გამოვარკვევთ.

ასე, 181 ფურცელი, გვამცნებს, რომ ხელნაწერი ოდესღაც ჰკუთვნებია ლევან მირზას:

„ვაქებთ კაცს ბრძენსა,
ჰქვიან სავსესა ლევან მირზასა...“

ე. ი. ლევან ბატონიშვილს, ვახტანგ მეექვსის მამას, რომელიც შაჰნავაზ მეფის (1658—1675) შვილი იყო, მაგრამ ირკვევა, რომ ლევანის სახელი ხელნაწერში შემდეგში ყოფილა ჩაწერილი; სტრიქონის ამოფხეკილ დასასრულს კი თავდაპირველად სხვა სიტყვები იკითხებოდა, რომელიც მერე ამოუფხეკიათ და მის მაგიერ ლევანი ჩაუწერიათ. ნამდვილი ადგილი „ლევან მირზას“ მაგიერ იკითხება: „სარდალ-სახლთუხუცესს ზაზას“, რომელიც ჩვენი ხელნაწერის „მომქმედელი“ ანუ შემკვეთელი და პირველი პატრონი ყოფილა, შემდეგში კი ხელნაწერი დაუსაკუთრებია ლევან ბატონიშვილს, ანუ ლევან მირზას, მერე ვახტანგ მეექვსეს, რომლისგან შესაძლოა მის ასულ თამარს ერეკლე მეორის დედას მზითევშიც შეხვდა; ერეკლესგან კი მის უმცროს ქალს თეკლე ბატონიშვილს რგებია, — რომლის პირმშოს ალექსანდრე ორბელიანს ვორონცოვისათვის მიუძღვნია, როგორც იშვიათი საჩუქარი.

ვორონცოვს საქართველოდან წასვლის შემდეგ ზოგ სხვა ქართულ წიგნებთან და ნივთებთან ერთად იგიც გაუტანია და ბოლო ხანებამდე ვორონცოვის კერძო არქივში ინახებოდა (ყირიმში, ოდესაში, მერე ლენინგრადში). ამნაირად, 1853 წლიდან დღევანდლამდე, ხელნაწერი იდვა უხმარად და იოსელიანის შემდეგ აღარც ერთ მკვლევარს აღარ გადაუფურცლავს. იგი დაკარგული იყო ქართულ მეცნიერებისათვის და კერძოდ მეცნიერებისათვის, როგორც ვორონცოვის პირად არქივში დაკრძალული. ამნაირად, თავადაზნაურობის მიერ განიავებული ძვირფასი ძეგლი მხოლოდ 86 წლის შემდეგ დაგვიბრუნდა სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივით.

თავისთავად გასაგებია, თუ ეს დღემდის გამოურკვეველი ვეფხ. ტყ. ხელნაწერი რა დიდ ინტერესს იწვევს. ხელნაწერს ამჟამად იკვლევს რუსთველის სახელობის ინსტიტუტი. სათანადო შესწავლის შემდეგ საბოლოოდ გამოირკვევა მისი ღირებულება და ისტორიული მნიშვნელობა, ვიდრე კი მე მინდა გამოვაქვეყნო რამდენიმე ჩემი წინასწარი ცნობა ახლად გამოჩენილ ვეფხის ტყაოსნის ვარიანტის შესახებ.

*

მართალია ხელნაწერი დღემდის დაკარგულად ითვლებოდა, მაგრამ იმავე პლ. იოსელიანის წყალობით რამდენიმე ცნობა მაინც მოგვეპოვებოდა. ასე, იოსელიანი ორჯერ შეეხო ჩვენს ხელნაწერს: პირველად —1852 წ. მის მიერ გამოცემულ ტიმოთე გაბაშვილის „მოხილვაში“, სადაც იგი ერთს შენიშვნაში ასე ეხმაურება ტიმოთეს კრიტიკას რუსთველზე.

„აქა ტფილისს მეფის ირაკლის ასულს თეკლას აქვნდა ძველად ნაწერი ვეფხვის ტყაოსანი სახით ანუ პორტრეტიტურთ თვით რუსთველისა, ერისკაცისა სამოსით, უფრო ყიზილბაშთა წესით. ესე წიგნი და პორტრეტი წარუდგინე კნიაზს მ. ს. ვორონცოვსა და ამან წარგზავნა სახე ესე ხელითა აქა ყოფილის ფრანცუზის მოგზაურის ფლერისა საფრანგეთისა ქალაქსა პარიჟსა, რათა გარდაბეჭდონ იგი მრავალ რიცხვედ ეგზემპლარებად ხრომო-ლიტოგრაფიით“. (იხ. „მოხილვა... ტიმოთესაგან....“ გვ. 154 შენ.).

უფრო ვრცელი ცნობები გამოაქვეყნა მან 1870 წ. გაზ. „კავკაზში“ (№ 13); რომლის მიხედვით იოსელიანისთვის იმ ხანად ცნობილი ყოფილა ვეფხის ტყაოსნის სამი უძველესი ხელნაწერი:

გრიგოლ წერეთლისა პერგამენტზე ნაწერი, ნიკოლოზ ელიოზიშვილისა, 1465 წლისა და ჩვენი ეგზემპლიარი, რომლის შესახებაც იოსელიანი სწერს, რომ ვახტანგ მეექვსეს —ვეფხის ტყაოსნის პირველ გამომცემელს თავისი გამოცემის ბეჭდვის დროს ამ ხელნაწერით უსარგებლნია და მისი ორთოგრაფიული შეცდომებიც კი გაუმეორებიათ. „ამ ხელნაწერიდან იმავე ორთოგრაფიით დაიბეჭდა 1712 წლის გამოცემაო“.

*

ჩვენი ხელნაწერი წარმოადგენს in folio. 36×26 და თუმცა დღეს 190 ფურცელს შეიცავს, მაგრამ თავდაპირველად ხელნაწერში თურმე 212 ფურცელი ითვლებოდა, როგორც გადამწერი შენიშნავს დასასრულში: „ამ ვეფხის ტყაოსნის ფურცელი ორას თორმეტი არისო“. ტექსტს იმდენი არა აკლია რა და თავფურცლიდან იწყება. მაშ რით უნდა აიხსნებოდეს ფურცელთა ძველი და ახალი ნუმერაციის შეუსაბამობა? ზემოთმოყვანილ პ. იოსელიანის ცნობით, როდესაც ჩვენი ხელნაწერი ვორონცოვისთვის მიუძღვნიათ, მაშინ იგი დასურათებული ყოფილა პოემიდან ამოღებული სცენებით სპარსულ სტილზე. მაშასადამე, დაკლებული 21 ფურცელი, მინიატურებს სჭერია, რაც სამწუხაროდ დღეს ან დაკარგულია, ან ისევ ვორონცოვის არქივში უნდა ვეძიოთ, სადაც თვით ხელნაწერი აღმოჩნდა.

ხელნაწერი საკმაოდ კარგად შენახულა, მხოლოდ თავში რამდენიმე ფურცელია დაზიანებული, ოდნავ მდიდრულად ყოფილა შემკობილი და ყოველი გვერდი ოქროს ფარაყით ანუ ოქროს მელნით დახატული ბორდიურებით არის შემოვლებული. ბორდიურზე გამოსახულია ყვავილები, ფოთლები და ხლართულები. ნამუშევარი მე-17 ს. ქართული გრაფიკის ერთ შესანიშნავ ძეგლად უნდა ჩაითვალოს. ხელი მეტად წააგავს იოსებ ტფილელის ნაწერს, (ცნობილია, რომ „დიდმოურავიანის“ ავტორი თავის დროს შესანიშნავ კალიგრაფად ითვლებოდა). ეპოქის სტილის მიხედვით, თითოეულ სიტყვას ორ-ორი წერტილი (:) უზის და ყოველი სათაური, როგორც თავების, ისე სტროფისა წითლურით არის შესრულებული. აგრეთვე თვითეულ თავს სა[illegible] სათაურები აქვს გაკეთებული და ალბათ, გადამწერს უნდა ეკუთვნოდეს.

ტექსტში წარმოდგენილია ვეფხის ტყაოსნის გაგრძელებასთან ერთად ორი ანდერძი ავთანდილისა, იოსებ ტფილელის მიერ შეთხზული: 1) „აქ კიდევ სხვა ანდერძი და სოფლის გმობა ტარიელისა და ნესტან დარეჯანისა ტფილელის იოსების ნათქვამი“ (ფურც. 170—174); 2) „კიდევ სხვა ანდერძი ავთანდილისა. რომელ თქვა ჟამსა სიკვდილისასა. ტფილელის იოსების გამოთქმული“. (176—179); მომდევნო, ქვემო სათაურში — „სიკვდილი ტარიელისა და ცოლისა მისისა“, — კიდევ განმეორებულია, რომ ზემორე თავი იოსებ ტფილელს ეკუთვნის: „ამა ზემოთ წითლურის კარსა და ამას შუა ტფილელის ნათქვამიო“ (ფ 174). შეტანილია აგრეთვე ავთანდილის მეორე ანდერძი — ნანუჩას ანდერძი — ნანუჩას ნათქვამი, სათაურით: „ანდერძი ავთანდილისა, რომელ ითქვა ჟამსა სიკვდილისასა, ნანუჩას ჩამატებული მასუკან“. საერთოდ ტექსტი სრულია, შეიცავს ინდო-ხატაელთა ამბავსაც და ყველა გაგრძელებებს, რომელიც ცნობილია წ. ძ. ფ. № 5006 ხელნაწერით.

*

ჩვენი ხელნაწერის დათარიღებისათვის სათანადო მნიშვნელობა ეძლევა ზაზა ციციშვილის პიროვნებას და მისი ცხოვრების წლების დადგენას. ვინ იყო ზაზა ციციშვილი?

ზაზა განთქმული სახელოვანი მეომარი ყოფილა თავის დროისა. მაგ. 1664 წ. ბრძოლაში, როდესაც ვახტანგ შაჰნავაზს და მის შვილს კახეთის მეფე არჩილს ღამით თავს დაესხა თუშებისა და კახელების ჯარით კახეთის მემკვიდრე ერეკლე. ზაზამ დიდი გაბედულობა გამოიჩინა. როცა მეფეთა ამალის უმრავლესობა გამოიქცა, მატიანეს სიტყვით, ზაზამ თუშები მარტომ შეაყენა. „არამედ მისვლასა სპათასა, ეკვეთნენ ძლიერად და შემუსრა ბრძოლითა, ზაზამ შუბი ხუთი (ქართლის ცხოვრება, II, 53).

„სარდარ სახლთუხუცესს“ ზაზას ბრწყინვალე კარიერისთვის ხელი შეუწყვია ამ გარემოებასაც, რომ იგი მეფის ახლო ნათესავი ყოფილა, სახელდობრ: შაჰნავაზის ბიძაშვილის —დედისიმედის შვილი.

სახელითა და დიდებით გალაღებული ზაზა სარდალი ტიპიური წარმომადგენელია ფეოდალთა სეპარატულ, პარტიის, რომელიც ებრძოდა მეფის უფლებას. ძლიერ მეფეს შაჰნავაზს — სპარსეთის ვასალს გადაუწყვეტია ურჩ ზაზას დატუქსვა, მაგრამ შესმენილი სარდალი მოყვანის დროს, მემკვიდრე გიორგის მოუკვლევინებია.

რაკი ზაზა მოუკლავთ, როგორც სახელმწიფო მოღალატე, კანონით მის დასჯას ცხადია, ქონების კონფისკაციაც უნდა მოჰყოლოდა. ერთი დოკუმენტი მართლაც გვიდასტურებს ზაზას სახლის აკლებას. ზაზას სიკვდილის შემდეგ იმ ხანებში, მისმა შვილმა ურთუთმა და ძმამ ზაალმა, როცა ისინი საგვარეულო მამაცებს ედავებოდენ ნათესავ—ციციშვილებს, სამართალში განაცხადეს, რომ ჩვენი სამართლის დამამტკიცებელ საბუთების წარმოდგენა არ შეგვიძლია, „აღარ გვაქვსო, რომე, როდესაც სარდალი ზაზა მოკლესო, მაშინ შაჰნავაზ მეფემ ჩვენი ქონება აიკლო და სიგელები და მისი საპასუხო წიგნები მაშინ წაგვიხდაო“. რასაკვირველია, მეფის იასაულები სიგელებთან ერთად წიგნებსაც დაიტაცებდენ, მით უმეტეს ძვირფასად შემკულ ვეფხის ტყაოსანს და რაკი დასჯილის ქონება სახელმწიფო დანაშაულობისათვის მეფისა იყო, ახლა ცხადი ხდება, თუ ზაზა ციციშვილის საკუთრებაში მყოფი ვეფხის ტყაოსანის ხელთნაწერი საიდან ჩაუვარდა ხელში შაჰნავაზ მეფის ერთ-ერთ შვილს ლევანს, რომელსაც ზაზას სახელი, როგორც კომპრომეტული ამოუფხეკინებია და თავისი ჩაუწერინებია.

*

როგორც უნდა ვიფიქროთ და ყინცვისის ეკლესიის ერთი წარწერიდანაც ირკვევა, „თავადთ უთავადესი“ ზაზა ციციშვილი „ქონებისა და დიდების“ პატრონი ყოფილა. (ქრონიკები, II, 478) და რასაკვირველია მას არ გაუჭირდებოდა ჩვენი ხელნაწერის ასე მდიდრულად შემკობა. საგულისხმოა, რომ ზაზას ინიციატივა და შემკვეთელობა ვეფხის ტყაოსნის გადაწერაში შემთხვე[illegible] არ ყოფილა. წიგნის მეცენატობა მის ოჯახს თურმე ახასიათებდა. მაგ. მის ძმას ზაალს, 1661 წ. გადაუწერინებია [illegible] დაუხატავს [illegible] ნი“. ([illegible] ნაწერი № 342, [illegible] 1921 წ. მენშევიკებმა [illegible] ცეს). [illegible] ლია ის ფაქტი, რომ ზაზა ციციშვილის ოჯახი მჭიდროდ დაკავშირებული ყოფილა ლიტერატურულ ტრადიციებთან. მაგ. ზაზას ახლობელი ნათესავია — ნოდარ ციციშვილი, ცნობილი პოეტი 1650-იან წლ. („ბარამ გურის“ ანუ „შვიდი მთიების“ მთარგმნელი); პოეტი არჩილი, მაშინ ჯერ კიდევ ყრმა — სულხან საბა ორბელიანი და თვით ნანუჩა ციციშვილი. ამ ფაქტების შემდეგ მისახვედრია, თუ საიდან უნდა მიმდინარეობდეს ზაზას ლიტერატურული ინტერესი.

*

რაკი გამოვარკვიეთ ჩვენ ხელნაწერთან დაკავშირებული ზაზა ციციშვილის ცხოვრების დრო, ახლა თავისუფლად შეგვიძლიან თვით ხელნაწერის დათარიღებაზე ვილაპარაკოთ, რადგან ჩვენს ხელნაწერში ზაზა მოხსენებულია „სარდალ - სახლთუხუცესობით“, თარიღის დასადგენად საჭიროა გამოვარკვიოთ. თუ რომელ წლებში ეჭირა მას ეს ორივე თანამდებობა.

საბუთების მიხედვით ზაზას სარდალ-სახლთუხუცესობა მემკვიდრეობითი თანამდებობა მიიღო 1661—1663 წლ-იბში.

საკითხავია ახლა, რომელ წელს მოჰკლეს ზაზა. ზაზა უკანასკნელად სჩანს 1670 წელს (საქ. სიძვ. 3, 133). მაშასადამე, სარდალ-სახლთ-უხუცესის პოსტი ზაზას სჭერია დაახლოვებით 166 —1670 წლებში და ჩვენი ხელნაწერიც ზაზას მიერ შეკვეთილი ამ წლებში უნდა იყოს შემზადებული, ხოლო თუ ყურადღებას მივაქცევთ კალიგრაფის განცხადებას, რომ გადაწერის დროს ზაზა ჭაბუკია, ჯერ „არ არის ოცდა ათის წლისა“, შეგვიძლია დრო ხელნაწერის შემზადებისა მისი სარდალ სახლთუხუცესობის უფრო პირველ წლებს მივაკუთვნოთ, დაახლოვებით 1663—1666 წლებს.

ამრიგად სრული სიზუსტით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენი ხელნაწერი 17 საუკ. 60-იან წლებს ეკუთვნის, რაც პალეოგრაფიულადაც მტკიცდება. ჩვენი დათარიღება რომ სწორია, იქიდანაც ირკვევა, რომ 1671 წლ. ხელნაწერი (ს.ს. № 757) დამოკიდებულია ჩვენი ხელნაწერიდან. მაგალითად. უკანასკნელის გადამწერს აქედან წაუღია მეცენატი[illegible] 1671 და 1680 წლის [illegible] 1646 წ. და 1680 წ. ძვირფასი ხელნაწერები ჩვენს სიძველეთსაცავებში აღარ იმყოფება, — ეს ნუსხები 1921 წელს გატაცებულია მენშევიკების მიერ საზღვარგარეთ.

*

ამრიგად ჩვენს ხელთ იმყოფება 17 საუკ. ქართველ ფეოდალის ეგზემპლიარი, ძვირფასაულად და დიდი ხელოვნებით შემკული, ოქროს ბორდიურებით და გადაწერილი ცნობილ პოეტის იოსებ ტფილელის შესანიშნავი ხელით. ჩვენი ხელნაწერი უახლოვდება ვეფხის ტყაოსნის ხელთნაწერის ვრცელ ტიპს.

როგორც პირველხარისხოვანი ძეგლი, იგი დიდი ინტერესის აღმძვრელია. ამჟამად ჩვენ არაფერს ვიტყვით მის მნიშვნელობაზე, რადგან, როგორც ზემოთაც ვთქვით, მისი კვლევა-ძიება გრძელდება, ვიდრე კი ყურადღების მისაქცევია ის გარემოება, რომ ჩვენი ხელნაწერი ვეფხის ტყაოსნის პირველი გამომცემლის და რედაქტორის ვახტანგის ნაქონი ანუ მისი სამუშაო ეგზემპლიართაგანი ყოფილა, როგორც მემკვიდრეობით მისი მამის ლევანისგან გადმოსული. ზემოდმოყვანილ პლ. იოსელიანის ტრადიციულ ცნობაში ნათქვამია, რომ ვახტანგს თავისი გამოცემის ბეჭდვის დროს ჩვენი ხელნაწერიდან უსარგებლია.

თუ პ. იოსელიანის ცნობა სწორია მაშინ ხელნაწერში შენახულა ვახტანგის რედაქტორული მუშაობის კვალიც. ასე, აშიებზე ჯვრები (+) უზის ვეფხის ტყაოსნის დამატებათა იმ სტროფებს, რომელნიც ვახტანგს და მის კომისიას, საფიქრებელია, მიაჩნდა ვეფხის ტყაოსნის ძირითად ტექსტის შემადგენელ ნაწილად. იოსელიანის ცნობის სიმართლის შესამოწმებლად, საჭიროა ჩვენი ხელნაწერის ტექსტის. მისი რიგის და ორთოგრაფიული შეცდომების შედარება და შესწავლა. ხოლო თუ საფუძვლიანმა ძიებამ იოსელიანის ტრადიციული გადმოცემასთან ერთად ჩვენი წინასწარი დაკვირვებანიც გაამართლა. მაშინ თავისთავად გადაწყდება ერთი მნიშვნელოვანი და მეტად სადაო პრობლემა. — დაბეჭდა ვახტანგმა ვეფხის ტყაოსნის უცვლელი ტექსტი, თუ მან რედაქტორული შემოკლებანი შეიტანა.

მთავრობის სასახლის მშენებლობა



საქართველოს მთავრობის სახლის მშენებლობაზე ამჟამად მიმდინარეობს 1, 2, 4 და 5 სართულების სათავეების გადახურვა, ბეტონირება და სახალხო კომისარიატის კორპუსების სვეტების არმატურის შეკავშირება. მშენებლობა შეუფერხებლად მიმდინარეობს.

სურათზე: სახალხო კომისარიატების კორპუსის მშენებლობა [illegible] ქუჩიდან.

პროფ. ივ. ბერიტაშვილი

მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე.

საიუბილეო სხდომა სახ. უნივერსიტეტში

28 თებერვალს საღამოს სახელმწიფო უნივერსიტეტში შესდგა [illegible] სოლომონისძე ბერიტაშვილის სამეცნიერო, საზოგადოებრივი და პედაგოგიური მოღვაწეობის 25 წლის და იუბილიარის ხელმძღვანელობით არსებული ფიზიოლოგიის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის არსებობის 15 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო სხდომა, რომელსაც დაესწრნენ ტფილისის სამეცნიერო დაწესებულებებისა, უმაღლესი სასწავლებლებისა და [illegible] მუშაკების წარმომადგენლები.

საიუბილეო სხდომა გახსნა ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა—ამხ. ლევ. აღნიაშვილმა. იუბილიარის სამეცნიერო მოღვაწეობაზე მოხსენებით გამოვიდა პროფ. [illegible]. შემდეგ მოსმენილ იქნა — პროფ. ბერიტაშვილის საანგარიშო მოხსენება სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ფიზიოლოგიის ლაბორატორიის სამეცნიერო მუშაობაზე განვლილი 15 წლის განმავლობაში.

დოც. დ. ვედევანიშვილმა გამოაცხადა სახ. უნივერსიტეტის რექტორატის და განათლების სახ. კომისარიატის დადგენილება იუბილიარისათვის მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის სახელწოდების მინიჭების შესახებ. გარდა ამისა სახ. უნივერსიტეტთან არსებულ ფიზიოლოგიის სამეცნიერო კვლევით ინსტიტუტს ეწოდა პროფ. ი. ბერიტაშვილის სახელი, დაარსებულ იქნა პროფ. ბერიტაშვილის სახ. სტიპენდიები, გადადებულია თანხები იუბილიარის ყოფაცხოვრებითი პირობების გასაუმჯობესებლად და სხ.

შემდეგ იუბილიარს მიესალმენ განათლების სახ. კომისარიატის სახელით — ამხ. შ. სიხარულიძე, სახ. უნივერსიტეტის სამეცნიერო მუშაკთა კოლექტივის სახელით — პროფ. ა. ხარაძე, სამეცნიერო აკად. ამ.-კ. ფილიალისა და საქ. განყოფილების სახელით — პროფ. ნ. მუსხელიშვილი, ჯანმრთელობის სახ. კომისარიატის სახელით — დოც. ცომაია, მედინსტიტუტის სახელით — პროფ. ყიფშიძე, ფიზიოლოგიის სამეცნიერო საკვლევი ინსტიტუტის მუშაკთა სახელით ს. ნარიკაშვილი. საქ. ექიმთა საზოგადოებიდან — პ. კიკალიშვილი და კონდოევი. სახ. უნივერსიტეტის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებიდან — ამხ. ფირცხალავა, დამსახურ. მეცნიერი — პროფ. ვორონინი. ქუთაისის პედინსტიტუტის წარმომადგენელი და სხ.

დასასრულ, სხდომაზე წაკითხულ იქნა საბჭოთა კავშირის და უცხოეთის სამეცნიერო დაწესებულებებიდან და მეცნიერთაგან მიღებული მისალმებელი დეპეშები.

ამხ. ლევანდოვსკის გამოსვლა მწერალთა სასახლეში

გუშინ, საქ. საბჭოთა მწერლების კავშირში შესდგა საღამო, მიძღვნილი მუშურ-გლეხური წითელი არმიის 17 წლის და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 14 წლის თავისადმი. მოხსენებით ამ ორი დიდი ისტორიული თარიღის შესახებ გამოვიდა ა.-კ. წითელდროშოვანი არმიის სარდალი ამხ. ლევანდოვსკი.

კრებას დაესწრნენ მწერლები, მხატვრები, კომპოზიტორები. ამხ. ლევანდოვსკის გამოსვლას დარბაზი ფეხზე ადგომით, მქუხარე ოვაციებით შეხვდა.

მოგონებით გამოვიდა № ცხენოსანი დივიზიის მეთაური—კომისარი ამხ. კნიგა, რომელმაც მწერლებს უამბო მეტად საინტერესო ეპიზოდები სამოქალაქო ომიდან. ამხ. კნიგას სიტყვას აუდიტორია ხშირად აწყვეტინებდა მქუხარე ტაშით.

მოხსენებათა შემდეგ სიტყვით გამოვიდა მწერალი შალვა დადიანი, ლექსები წითელ არმიაზე წაიკითხეს მწერლებმა ს. შანშიაშვილმა, გ. ქუჩიშვილმა, რ. გვეტაძემ, ა. ჩაჩიბაიამ, [illegible] მირიანაშვილმა და შენგელაიამ. საღამოს დიდძალი ხალხი დაესწრო.

საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირი

მეათე ტურის შედეგები

მსოფლიო ჩემპიონისამ ვერა მენჩიკმა თავი მოაწონა მსოფ. ექსჩემპ. ლასკერთან. ალატორცევ — გოგლიძის პარტიაში თავიდანვე მწვავე მდგომარეობა შეიქმნა, ალატორცევმა განავითარა აქტიური შეტევა მოწინააღმდეგის მეფეზე, მაგრამ გოგლიძე დიდი ოსტატობით იგერიებს შეტევას, აიძულებს ალატორცევს უკან დაიხიოს და იფიქროს თავდაცვაზე.

ალატორცევი უკვე ცუდ მდგომარეობაში ვარდება (ცენტრში [illegible] უქონლობა), იგებს ფიგურას და ჩქარა პარტიასაც თმობს.

ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა ავსტრიის ჩემპიონმა შპილმანმა ჩეხოვერთან.

რაბინოვიჩმა დებიუტით მიღებული უპირატესობა ბოლომდე შეინარჩუნა და მოუგო ლილიენთალს. ფლორმა მოუგო შტოლბერგს, რომანოვსკიმ კანს.

ბოტვინიკ - ლისიცინის პარტიაში ბოტვინიკმა ვერ შესძლო ვერავითარი უპირატესობის მოპოვება, პირიქით, ლისიცინი თამაშობდა მოფიქრებულად, იგი არღვევს მოწინააღმდეგის ცენტრს და იგებს პაიკს, მაგრამ დასვენების შემდეგ ლისიცინი თამაშობს ძალზე სუსტად და აძლევს საშუალებას ბოტვინიკს გააუმჯობესოს მდგომარეობა. პარტია გადაიდო, ბოტვინიკისათვის ყაიმის დიდი შანსებით.

ლევენფიშ — პირცის პარტია გადაიდო პირველისათვის უკეთეს მდგომარეობაში; ეტლების ენდშპილში ლევენფიშს აქვს ზედმეტი პაიკი. გადადებულია რიუმინ — რაგოზინის და კაპაბლანკა — ბოგატირჩუკის პარტიები. პირველში დიდი უპირატესობა (ორი პაიკით) აქვს რაგოზინს, მეორეში — კაპაბლანკას აქვს პოზიციური უპირატესობა.

⁂

მეათე ტურის შემდეგ ტურნირის მდგომარეობა ასეთია: ბოტვინიკი +8 (1 გად.), ფლორი +7½, ლევენფიში +6½ (1 გად.), ლასკერი +6 (1 გად.) კაპაბლანკა +5½ (2 გად.) შპილმანი და რაბინოვიჩი +5½, რაგოზინი +5 (1 გად), გოგლიძე, რომანოვსკი, და ლილიენტალი +5, ლისიცინი, პირცი და რიუმინი +4½ (1 გად.), კანი +4½, ალატორცევი, შტოლბერგი და ბოგატირჩუკი +3 (1 გად.), ჩეხოვერი +2½, მენჩიკი +0.

დღეს მეთერთმეტე ტურში თამაშობენ კანი — ლევენფიში, ლასკერი — რომანოვსკი, პირცი — რიუმინი, რაგოზინი — ბოტვინიკი, ლისიცინი — ალატორცევი, გოგლიძე — შტოლბერგი, ბოგატირჩუკი — მენჩიკი, ჩეხოვერი — კაპაბლანკა, ლილიენტალი — შპილმანი, ფლორი — რაბინოვიჩი.

◆

პარტია № 4

თეთრები რიუმინი, შავები ბოტვინიკი

(ესპანური დებიუტი)

1	e2—e4,	e7—e5
2	მg1—f3,	მb8—c6
3	კf1—b5,	a7—a6
4	კb5—a4,	მg8—f6
5	0—0,	კf8—e7
6	ლd1—e2,	b7—b5
7	კa4—b3,	d7—d6
8	c2—c3,	0—0
9	d2—d4,	კc8—g4
10	ეf1—d1?	e5:d4
11	c3:d4,	d6—d5
12	e4—e5,	მf6—e4,
13	h2—h3,	კg4—h5
14	a2—a4,	b5—b4
15	a4—a5,	მფg8—h8
16	g2—g4,	კh5—g6
17	მf3—h2,	კe7—h4
18	კc1—e3,	f7—f5!
19	f2—f4,	კh4—g3
20	g4—g5,	h7—h6
21	g5:h6,	g7:h6
22	მb1—d2,	მc6—e7
23	მფg1—h1,	ლd8—e8
24	ეd1—g1,	კg6—h5
25	მh2—f3,	ეf8—g8
26	მd2—f1,	ლe8—f7
27	კb3—d1,	ეg8—g7
28	ეa1—c1,	c7—c6
29	ეc1—c2,	ეa8—g8
30	ეg1—g2,	კg3:f4!
31	ლe2:a6,	ეg7:g2
32	ეc2:g2,	ეg8:g2
33	მფh1:g2	ლf7—g6+
34	მფg2—h1	კf4:e3
35	მf1:e3,	მe4—f2+
36	მფh1—h2.	მf2:d1

თეთრები დანებდნენ.

აგარის შაქრის ქარხანამ დაამთავრა მუშაობა

აგარის შაქრის ქარხანამ დაამთავრა თავისი 1934-35 წლის საწარმოო სეზონი, რომელიც გაცილებით უკეთესად ჩაატარა, ვიდრე 1933-34 წელს. სულ გადამუშავებულია 433.234 ცენტნერი ჭარხალი, წინააღმდეგ 282.200 ცენტნერისა 1933 წელს. სულ მიღებულია 57.500 ცენტნერი შაქარი და შაქრის ფხვნილი.

პირველი კვარტალის დავალება შესრულებულია

ტფილისის სატყეო-სამრეწველო მეურნეობამ 1935 წლის პირველი კვარტალის ხე-ტყის დამზადება-გამოზიდვის გეგმა 26 თებერვლისათვის — შესრულა 100,9 პროცენტით.

ხე-ტყის დამზადება - გამოზიდვა გრძელდება.

1.300.000 მანეთის ფართო მოხმარების საქონელი

საქართველოს ადგილობრივი მრეწველობის სახალხო კომისარიატმა ჩაატარა ბათომის თუთიის ქარხნის სპეციალიზაცია საოჯახო ფართო მოხმარების საქონლის გამოშვებაზე.

მიმდინარე წლის ბოლომდე ქარხანამ უნდა გამოუშვას 603.000 ვედრო, 14.000 ლითონის აბაზანა („ვანა“), 16.000 სარეცხის ქვაბი, 36.000 ცალი სარეცხი ვარცლი („ლახანკა“), 30.000 ტაშტი და სხ.

სულ მიმდინარე წლის განმავლობაში, ბათომის თუთიის ქარხანა მოგვცემს 1.300.000 მანეთის პროდუქციას.



ვიოლინოზე დამკვრელი, 12 წლის იურა ცხომელიძე, ტფილისის სახელმწიფო კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერ ბავშვთა ჯგუფის მოწაფე.

მხატვართა კავშირში

— 3 მარტს საქართველოს საბჭოთა მხატვრების კავშირში მოწვეულია მხატვართა სრულიად საქართველოს თათბირი.

— ახალგაზრდა მხატვარი გ. ჭამიერაშვილი ამჟამად მუშაობს დიდ სურათზე, რომლის თემაა: „არალეგალური მუშაობა ამხ. ორჯონიკიძის ხელმძღვანელობით“. სურათი ვვიხატავს საქართველოს ბოლშევიკების არალეგალურ ცხოვრებას 1905 წელს

ფიზკულტურის ტექნიკუმის მსმენელები: ამხ. კუხიანიძე და ბაქრაძე ფრანგული ჭიდაობის ვარჯიშის მომენტში

გამწვანებულია 1929 ეზო

ბათომი, 27 თებერვალი (საქ. კორ.). ბათომის მწვანე ნარგავთა სამმართველო გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს როგორც ქუჩების, ისე ეზოებისა და მუშათა საცხოვრებელი ბინების გამწვანებისათვის. გამწვანება წარმოებს როგორც დეკორატიული და ყვავილნარი მცენარეებით, ისე ციტრუსოვანთა ნარგავებით.

უკანასკნელი აღწერის მიხედვით ქალაქის ფარგლებში გამწვანებულია 1929 ეზო, სადაც დარგულია 17.094 ძირი ციტრუსოვანთა სხვადასხვა კულტურები.

გამწვანების მიზნით დარგულ ციტრუსოვანთა დიდი ნაწილი უკვე ნაყოფის მომცემია. აღნიშნულ ნარგავებზე 1934 წელს მოიკრიფა 2.087 ცალი მანდარინი, 3.587 ცალი ლიმონი. 10.709 ცალი ფორთოხალი და სხვ.

ქალაქის მწვანე ნარგავთა სამმართველოში გამოყოფილია სპეციალური აგრონომი, რომელსაც დავალებული აქვს ხელმძღვანელობა და დაეხმაროს მუშებს თავიანთი ეზოების და საცხოვრებელი ბინების გამწვანებაში. მიმდინარე წელს განზრახულია ეზოებში და ბინებში დაირგოს კიდევ 5.000 ძირი ციტრუსოვანთა ხეხილი.

სტუმრად წითელარმიელებთან

წითელი არმიის 17 წლისთავისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 14 წლისთავის აღსანიშნავად ტფილისში ჩამოვიდა წითელარმიელთა ჯგუფების ადგილობრივი ექსკურსიები. წითელარმიელებმა დაათვალიერეს ქალაქის მთავარი საწარმოები — მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, საბურღავ ჩარხთმშენებლობის ქარხანა, ავტორემონტო ქარხნის მშენებლობა და სხვ.

დილის შესვენების დროს წითელარმიელები ესაუბრნენ მუშებს საწარმოო გეგმების შესრულების მიმდინარეობასა და საყოფაცხოვრებო საკითხებზე. წითელარმიელებმა მუშები მიიპატიჟეს ყაზარმების დასათვალიერებლად.

ამის გამო პროლეტარული ტურიზმისა და ექსკურსიების საზოგადოება ამ დღეებში აწყობს მუშათა ჯგუფების საპასუხო ექსკურსიებს წითელ ყაზარმებში წითელარმიელთა ყოფაცხოვრებასთან, სწავლებასთან და მიღწევებთან გასაცნობად.

პირველი ასეთი ექსკურსია ჩატარდება 1—5 მარტს.

საექიმო დახმარება სოფელს

გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის მომსახურების მიზნით საქართველოს ჯანმრთელობის კომისარიატი რაიონულ ცენტრებში აწყობს მოძრავ საექიმო პუნქტებს და აფთიაქებს.

სასოფლო - სამეურნეო სამუშაოთა ადგილებზე რაიონულ ცენტრებიდან იგზავნება 662 საექიმო ბრიგადა. ამას გარდა 30 საექიმო ბრიგადა მეზობელ რაიონებში გადაგზავნილ იქნება უფრო მძლავრ რაიონებიდან.

ჯანსახკომი საქართველოს რაიონებში გზავნის 16 საექიმო ბრიგადას და პროფესორთა 10 ბრიგადას. რაიონებში ეწყობა პირველი დახმარების 2.961 აფთიაქი. 5.300 კოლმეურნეს შეასწავლიან პირველი დახმარების აღმოჩენის ტექნიკას. აპრილში რაიონებში იხსნება 32 სამალარიო პუნქტი და ეწყობა 52 სამალარიო ბრიგადა. მალარიასთან ბრძოლის დარგში მომუშავე ექიმების კვალიფიკაციის ასამაღლებლად ეწყობა კურსები, რომელსაც გაივლის 26 ექიმი და 203 ექიმის თანაშემწე. საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობებში ეწყობა 429 კომისია მალარიასთან ბრძოლის საკითხზე.

ამჟამად საქართველოს რაიონებში წარმოებს ბავშვთა აღრიცხვა ოთხი წლის ასაკამდე და მათთვის საბავშო ბაგების მოწყობა სასოფლო - სამეურნეო კამპანიის განმავლობაში. გაზაფხულზე საქართველოში გაიხსნება 508 ახალი სასეზონო ბაგა, რომლებშიაც მიღებული იქნება 25.000 ბავშვი.

საქართველოს ჯანსახკომი რაიონში გზავნის გინეკოლოგთა 4 ბრიგადას, პედიატრების 4 ბრიგადას და დამატებით მოწყობილობას საბავშო ბაგებისათვის.

მიმდინარე წლის 18 თებერვალს მოსკოვის კონსერვატორიის დიდ დარბაზში შესდგა კონსერვატორიასთან არსებული ბავშვთა განსაკუთრებული ჯგუფის კონცერტი

სურათზე: ახალგაზრდა პიანისტი როზა ტაბარკინა (14 წლისა), რომელმაც კონცერტზე შეასრულა ლისტის მეხუთე რაფსოდია.

ფეხბურთი

ცეკავშირი—ტ. ს. ო. კ.

დღეს, 1 მარტს, დღის 1 საათზე, ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდება ცეკავშირის და ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზაციათა კავშირის ფეხბურთელთა გუნდების ამხანაგური შეჯიბრება.

ტფილისის ზოოპარკში

ტფილისის ზოოპარკი საგრძნობლად გაფართოებულია. ჩატარებულია დიდი მუშაობა ცხოველების გალიების და ბუნაგების რეკონსტრუქციის მხრივ. განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვეებერთელა ვოლიერები ცხოველებისათვის. ხელოვნურად გაშენებული ტყეები, მთები ცხოველებს უქმნიან მათთვის ჩვეულ გარემოს სრულ ილუზიას.

სურათზე: გარეული თხა ტფილისის ზოოპარკის ვოლიერში, რომელიც აგებულია კლდეებთან.

ფიზკულტურა და სპორტი

ახალგაზრდა ძალოსნების შეჯიბრება

უკანასკნელ დროს ძალოსანთა მუშაობა ძალზე გამოცოცხლდა.

სექციები ჩამოყალიბდა სარეწაო კავშირში, განსახკომში, ფიზკულტურის ტექნიკუმში, წითელი არმიის სახლში და მთელ რიგ სხვა ორგანიზაციებში. სექციები დღითიდღე იზრდება.

მუშაობის შეჯამების მიზნით ტფილისის ფიზკულტურის საბჭომ 27—28 თებერვალს მოაწყო ახალგაზრდა მოჭიდავეთა მოკრივეთა და სიმძიმეების ამწევთა შეჯიბრება.

მონაწილეთა საერთო რაოდენობა 108 კაცს აღწევდა.

შეჯიბრების პირველ დღეს სიმძიმეების აწევაში დინამოელმა ჩინჩინმა (ნახევრად მძიმე წონა) მარცხენა ხელით აიტაცა 77.500 კილოგრ., რითიც გადააჭარბა კალმახელიძის მიერ საქართველოს ფარგლებში დამყარებულ რეკორდს. კარგი შთაბეჭდილება დასტოვეს წითელარმიელებმა მინდორაშვილმა და ოდილავაძემ.

საინტერესოდ ჩატარდა შეჯიბრება კრივში. კარგ შთაბეჭდილებას სტოვებენ სარეწაო კავშირის მოკრივეები, რომლებსაც არცერთი შეხვედრა არ წაუგიათ. მათ არ ჩამორჩებიან განსახკომის მოკრივეებიც.

მიჩურინის ნაწერები ქართულად

საქართველოს ლენინური კომკავშირის ცენტრალურმა კომიტეტმა აუცილებლად სცნო გამოცემულ იქნას ქართულ ენაზე გამოჩენილი მებაღის ი. მიჩურინის წიგნი „ახალი გაუმჯობესებული ჯიშის ხეხილის მოშენების შესახებ“.

წიგნს გამოსცემს მიმდინარე წლის ივნისში სახელგამი 5 ათასი ეგზემპლარის რაოდენობით.

შემთხვევები

● რაიშემნახველ სალაროში № 3524 დააპატიმრეს აფერისტი დ. ჯგალინიშვილი (მცხოვრები ზურაბიშვილის ქ. № 20), იგი ცდილობდა მიეღო 500 მან. მოგება ობლიგაციით, რომელსაც გადასწორებული ჰქონდა ნომერი და სერია.

● ტრამვაის გაჩერებულ ადგილთან რიყის ქუჩაზე მოქ. პ. ფუთორიას ჯიბიდან ამოაცალეს 30 მან. ქურდი ა. მ. ოსიპოვი დაპატიმრებულია.

პარტკალენდარი

2 მარტს [illegible] სახლში შესდგება საქ. საბჭოთა მწერლების კავშირის პარტჯგუფის სხდომა.

— ქვემოდ დასახელებული ამხანაგები აუცილებლად უნდა გამოცხადდნენ საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტში (ოთახი № 50) 2 მარტს მათ პირად საქმეზე. სერგო ლუკას-ძე რატიანი, მიხაილი (ფეხსაცმლის ახალი ფაბრიკის მშენებლობის პარტკომიტეტის ყოფ. მდივანი), სედრაკ არუთინის-ძე ტოსუნიანი, მარუშინი და ტკაჩევი (საკოლო-საკანცელ. ნივთების ფაბრიკის ყოფ. თანამშრომლები), ბალნეოლოგიური კურორტის მშენებლობის პარტორგი, დირექტორი და გონტარი, სიმონ ანდრონ-ძე ნარიკაძე, კოვალევი (საუწყებო მილიციის მე-3 დივიზიონის ყოფ. პარტორგი), იოსებ ანტონის-ძე წამალაშვილი.

— საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტთან არსებული პარტსაბჭოთა კონტროლის ჯგუფი 2 მარტს, დღის 1 ს. ა.-კ. სამხარეო კომიტეტში (ძერჟინსკის ქ. № 8) ამხ. შახსუვაროვთან იწვევს ქვემოდ დასახელებულ ამხანაგებს: ნ. მ. ჩხენკელი (ხონის კომუნ. განყ. წარმომადგენელი), მანველ ოგანესის-ძე ზახაროვი (განჯის ზეთსაპნის ქარხნის წარმომადგენელი), ი. ა. აივაზოვი (საგზაო კომისარიატის დაბ. მუშათა კოოპერატივის რწმუნებული), გ. ლ. არუწევი, ნ. ლ. ჩარგეიშვილი, ა. ა. სადოლევსკი (აზერთიფლიკატის რწმუნებული), გ. ა. ოთაროვი (აჭარისტანის კოოპკავშირის რწმუნებული). შიპიცინი („ცენტრობოტორგის“ ბაზის რწმუნებული).

— საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის კიროვის რაიკომი აცხადებს, რომ 3 მარტს საღამოს 7 საათზე მე-14 შრომის სკოლის შენობაში (ფ. მახარაძის ქ. № 4) შესდგება პარტიულის ყველა ტიპის სკოლების და წრეების პროფსემინარების მორიგი მეცადინეობა, გარდა მიმდინარე პოლიტიკის წრეების სემინარებისა.

— ამხ. ალექსანდრე ბახტაძემ, რომელიც წინად მუშაობდა საქ. მიწსახკომში და გრიგოლ ოგანოვმა, რომელიც „ტორგსინში“ მუშაობს, წინადადება ეძლევათ 2 მარტს, დღის 12 საათზე გამოცხადდნენ საქ. კ.პ. (ბ) ტფილისის კომიტეტში ამხ. ბირიუკოვთან (ოთახი № 50) მეტად მნიშვნელოვან და სასწრაფო საქმეზე.

ოპერისა და ბალეტის თეატრი 1934-35 წ. სეზონი

დღეს 9 წარმ. დღისით 14 აბ. 1 წ. [illegible] დასაწყისი 12 ს. საღამ. 3 აბ. 9 წარ ქეთო და კოტე

2 მარტს 1 აბონ. 9 წარ ევგენი ონეგინი

3 მარტს 2 აბონ. 9 წარ ლაკმე

ის აბონენტები რომლებსაც არ [illegible] 9 და [illegible] წარმოდგენაზე არ დაიშვებიან. ბოლო მათი ადგილები გაიყიდება

დაიწყო მეორე შესვლის [illegible] აბონემენტზე. სალარო ღიაა დღისით 11—2 ს. და საღ. 5—9 ს

ბავშვები და მოწაფეები საღამოს წარმოდგ. არ დაიშვებიან. დასაწყისი საღამოს 8 ს.

რუსთაველის სახ. თეატრი

1 მარტს ატ. აბ. 5 წარ. [illegible]

3 მარტს 10 აბ. 6 წარ [illegible]

4 მარტს 14 აბონ. 6 წარ [illegible]

აბონემენტები მთლიანი გადასახადით დაკარგვის შემდეგ არ შეიცვლებიან. მეექვსე გადასახადი ავალდებულია. სალარო ღიაა 11—2, 6—9 საათამდე დასაწყისი 8 საათზე

მარჯანიშვილის თეატრი

1 მარტს აბონ. გარეშე — წარმოდგენა № 97 ოტელო

3 მარტს აბონ. № 9 მე-5 წარ. — წარმოდგენა № 98 მზის დაბნელება საქ.

4 მარტს აბონ. № 8 მე-5 წარმ. — წარმოდგენა № 99 ურიელ აკოსტა

აბონენტთათვის აუცილებელია მეექვსე გადასახადი სალარო ღიაა 11-2 ს. 6-9 ს. დასაწყისი 8 საათზე.

ოქტომბერი 5-30, 7-20, 9-10, 11 — ახალი ჯაზ კომედია მხიარული ახალგაზრდობა 12 საათიდან წინასწარ გაიყიდება ბილეთები ორგანიზაციებისთვის.

დამკვრელი 6-30, 8, 9-30, 11 — მხატვრული კომედია მეჭიქალ დიპლომატები

ტფილისი 6, 7-15, 8-30, 9-45, 11 — მხატვრ. სათავგადასავლო კომედია მამილოს ბიჭუკელა

რ. ლუქსემბურგის სახ. 6, 7-15, 8-30, 9-45, 11 — ამერიკული ხმოვ. ფილმი მარვინ ბლეიკის გამოცემლობა დღისით—[illegible]

„26“-ის კომ. სახ. 8-30, 9-30, 10-30. — მხატვრული ფილმი [illegible]

ექიმი ს. ვ. მესხელიშვილი თვალის სნეულებანი ავადმყოფების მიღება 5—7 საათამდე. ყორღანოვის ქ. № 6.

ქვემოთ ჩამოთვლილი საბუთები ჩ. გ. ხსდ. და ხსდ.

დაბლუვის წიგნაკი № 34 ნიკალა ივანე[illegible] ბარბაქაძის. სამხედრო წიგნაკი ალი [illegible] სამხედრო წიგნაკი ნიკალა ნასყიდაშვილის. პასპორტი № 2:3505 სერია [illegible] ვარლამ ყარამანის-ძე ძიმისტარიშვილის. № 4

საოქ. სამ. სარ. კოდ. 354 მუხ. თანახმად

4. ტფილისის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელი ა. ი. ლომინაძე

ამით აცხადებს, რომ 1935 წ 3 მარტს, დღის 12 საათზე, ქ. ტფილისში, მალაკნის ქ. № 3 სახლში

საჯარო ვაჭრობით გაყიდის

მოქ. მიხილ ანდრიას-ძე მოიდლიძის ქონებას: პიანინოს, საწერ მაგიდას, მდივანს თავისი სკამებით, რკინის კარადებს, [illegible] სარკით, ბუფეტის შკაფს კედლის საათს და სხვა საოჯახო ნივთებს ქონება შეფასებულია 6.350 მან. გაიყიდება საქ. იუსტიციის სახ. კომისარიატის პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად თანახმად საქ. უზენაეს სასამ. 1935 წ. 22 თებ. № 69 გადაწყვეტ. ფურცლისა. უკეთუ აღნიშნულ დღეს ვაჭრობა არ შესდგა, განმეორებით ვაჭრობა მოხდება 8 მარტს.

6947 სასამართლოს აღმასრულებელი ა. ლომინაძე

სოფლის მეურნეობის მავნებლების წინააღმდეგ ბრძოლის ამიერ. სამეცნ. ინსტიტუტის მიერ

1933 წელს გამოსაშვებულ პირთათვის ჩაუბარებლად დარჩენილ საგნების ჩაბარების უკანასკნელ ვადათ დანიშნულია 1935 წ. 1 აპრილი, ხოლო სადიპლომო შრომის წარმოდგენის—1935 წ. 1 მაისამდე.

ამ ვადის შემდეგ სადიპლომო შრომა არ მიიღება. ხოლო იმ პირებს კი, რომლებსაც არ ექნებათ დაცული აღნიშნული სადიპლომო შრომა, არ ექნებათ ს. მ. მავნებლების წინააღმდეგ მებრძოლ აგრონომის წოდებაც

6949 სახ. სამ. ინსტ-ის დირექტორი ან. ბუაჩიძე.

მეუღლე კატო, შვილები ელიჭა, ბიჭიკო მეუღლით ოლიმპიადათი, ვასო, კორძაიები, შვილიშვილები: ცუცა, ვამოკო, ბეჟა გულაღებით იუწყებიან, რომ 3 მარტს 1 ს. სასაფლაოზე დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი

ხუვერიანე დავითის-ძე კორძაიას

ხსოვნის აღსანიშნავად. 6945

დედა სალომე, დედამთილი ანნა, ბიძები: მიხა, ლევან აბაკელიები ცოლშვილებით, სიძეები იუწყებიან

მანია სამსონის ასულ

ჯალაღანია—ჩაჩიბაიას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 მარტს კუკიის სასაფლაოზე. გამოსვენება 5 ს. ორჯონიკიძის ქ. № 77. 6939

შვილები: შალვა, გრიშა, მამიკა, თინა, რძლები: ნინა, ლოლა, შვილიშვილები: ლილი, გივი, ეთერი, დოლონაძეები იუწყებიან პირველთა მამის, მეორეთა ბაბუას

კონდრატე დოლონაძის

გარდაცვალებას. გამოსვენება დღეს 2 ს. პირველ საავადმყოფოდან, დაკრძალვა 3 მარტს. 6936

პეტრე ცხაკაია, მიშა ელიავა, ხუტუ მათარია, აკაკი გობრონიძე, გიორგი ვარდოსანიძე, გერმანე გიორგაძე, შალვა მანჯგალაძე, ვანო წულუკიძე, კოლია გვახარია, კაკო ნიჟარაძე, მირიან ბურჭულაძე, ანგი რამიშვილი იუწყებიან

ნიკოლოზ (კოლია) ივ.-ძე **ჯანელიძის**

გარდაცვალებას. ნ. 70

მეუღლე მაიკო, ბიძა ანტონი, შვილებით: საშა, ლოლა, სერგო, შალვა მანაგაძეები, ბიცოლა სონა შვილებით: ლუბა, ელე ჯანელიძეები, სიძე შალვა შარაშიძე, იუწყებიან

კოლია ჯანელიძის

უდროოდ დაკარგვას. დასაფლავება 2 მარტს. 6942

მეუღლე პარმენი წულაია, მამა ალ[illegible]სი, დედა კალენიკე კიკნაძეები, სიძე მიშა, მული ანიჩკა, მეგობარი ოლია დანელიები, იუწყებიან. რომ 2 მარტს 5 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი

ცუცა კიკნაძე—წულაიასი

6943

შვილები: ვალოდია და გრიშა, რძლები: თამარა, ოლია იუწყებიან პირველთა მამის, მეორეთა მამამთილის

დავით ზახვას-ძე ჩიჩუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 მარტს. 6941

ექიმი

გ. ნ. ონანოვი

სიფილისის [illegible] და კანის სნეულებანი [illegible] მკურნალობა.

ავადმყოფთა მიღება დილის 10—12-მდე და საღამოთი 6—8-მდე. ნინოშვილის ქუჩა (ყოფ. ალექსანდროვის) № 5 ფაბრიკა მკერავის პირდაპირ. 25—1

ექიმი

ი. ქეიშვილი

სიფილისი, ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილის 8—9 საათზე, და საღამოთი 6½—8½ საათ. [illegible] ქუჩა № 72 (ალექსანდროვის) საავადმყ. პირდაპირ

ექ. გ. მ. ფოცხუა

სიფილისი, კანის და ვენერიული სნეულებანი, მეთოდი „914“ ინფუზიით და მისი გართულებათა მკურნალობა ავადმყოფთა მიღება 6—8 ს. კალიაევის ქ. № 10 (ყ. ციციანოვის)

შობლები: ნინო ბაბუნიძე—ჩიკვაიძისა, ნესტორი და და გულიკო ჩიკვაიძეები იუწყებიან უმცროსის

ნათელას

უდროოდ გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს 6 საათზე ყოფილ მიხეილის საავადმყოფოში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ა.-კ. ი.ტ.მ. კვალიფიკაციის ასამაღლებელი ინსტ-ტის საბჭო და მუშა-მოსამსახურეები იუწყებიან ინსტიტუტის დირექტორის მოადგილის გიორგი მელუას დედის

მარიამ მელუას

გარდაცვალებას. 6952

დედა საშა, შვილი ლიანა, და მარო, ძმა ბიჭიკო, მამიდა ჩათუ ჟორდანიები იუწყებიან, რომ 2 მარტს დანიშნულია სამოქალაქო პანაშვიდი.

ვალოდია იოსების-ძე **ჟორდანიას**

ხსოვნის აღსანიშნავად. ნ. 69

მამანტი, გედეონ, დავითი, ნინა, პაპუშა, მარო, ელისაბედ კაჭარავები და აკაკი, ბუგულია, ფევრონია დგებუაძე იუწყებიან ბიცოლას

მინადორა კაჭარავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 მარტს. 6948

უახლოესი მეგობრები: ნ. პულუზოვი, გ. კეკელიძე, ე. ჯიქია, ბ. ბერძენიშვილი, ა. ოგანეზოვი, ს. მოისწრაფიშვილი, გ. კირაკოზოვი, ქ. ცხვარაშვილი, ა. ფირცხელაიშვილი, ფ. ემისკელაშვილი და შ. მამულაშვილი იუწყებიან მიშა კინწურაშვილის მამის

ილარიონ გიორგის-ძე **კინწურაშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 3 მარტს. 6944

მეგობრები: ყ. ლომია, რ. აბაშიძე, ბ. თოფურიძე, ქ. ქილაძე, ბ. პატარაია, იუწყებიან გრიშა დავითის-ძე ჩიჩუას მამის

დავით ჩიჩუას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 1 მარტს. 6940

ცოლი ნინა, შვილები: ილუშა, ქეთევანი, ოთარი და სიძე ისიდორე კალანდაძე იუწყებიან, რომ 2 მარტს 5 ს. ვერის სასაფლაოზე დანიშნულია სამოქ. პანაშვიდი გრიგოლ (გოგა) ივანეს-ძე **ცაგარელის** ხსოვნის აღსანიშნავად. 6930

შვილები: შარინოზ ბაქრაძისა და ვანო ვლადიმერის-ძე გუნცაძე მეუღლე საშურათი იუწყებიან დედის

ფახახი სამსონის ასულ **გუნცაძის**

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი ყოველ დღე, 7 ს. დაკრძალვა 3 მარტს კუკიის სასაფლაოზე, პასტერის ქ. № 4. 6952

საქ. აბრეშუმტრესტის დირექცია, პარტორგანიზაცია, ადგილკომი, სპეციალისტები და მუშა-მოსამსახურეები თანაგრძნობას უცხადებენ ტრესტის აგრონომ ამხ. შალვა დოლონაძეს მამის

კონდრატე იოსების-ძე **დოლონაძის**

გარდაცვალების გამო. გამოსვენება 1-ლ მარტს 2 ს. 6938

მისამართები: რედაქციის რუსთაველის პროსპექტი № 16, გამომცემლობის რუსთაველის პროსპ. № 34. ტელეფონები: რედაქტორის 3—43—26, რედაქტორის მოადგილის 3—63—08, პასუხისმგებელი მდივნის 3—06—88, მასობრივი განყოფილების 3—73—24, პარტმშენებლობის განყოფილების 3—57—61, სამრეწველო განყოფილების 3—73—40, სტამბის 3—27—04, გამომცემლობის—3—51—81. ხელთნაწერებს რედაქცია ავტორებს არ უბრუნებს.

სტამბა „კომუნისტი“, კალის ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებულ ა 9386